ახალი განათლება

2015 წელი, 22-28 იანვარი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№1 (675) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ახალი რეგულაციებით დაწესებული მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომები და სახდელები

მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი მასწავლებლებისათვის ახალ რეგულაციებს აწესებს, რომელთა გადაცდომის შემთხვევებში პედაგოგებს დისციპლინური სახდელი დაეკისრებათ. წესი 1 იანვრიდან ამოქმედდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №167/ნ ბრძანების თანახმად, რომელიც 2014 წლის 30 დეკემბერს გამოიცა, მასწავლებელთა დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა: „მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევა; საჯარო სკოლის შინაგანაწესის ან/და სკოლის წესდების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან სხვა ტოქსიკური საშუალებების მიღება, ასევე სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება; სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკული ან ტოქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ; სკოლის ტეირტორიაზე/სასკოლო დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა; მასწავლებლის სხვა დისციპლინური გადაცდომები შესაძლებელია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით.

ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით მასწავლებელს შესაძლოა დისციპლინური სახდელები დაეკისროს: შენიშვნის, საყვედურის, სამსახურიდან გათავისუფლების სახით ან შესაძლოა, დისციპლინური სახდელის სხვა სახე სკოლის შინაგანაწესით განისაზღვროს. დოკუმენტში მითითებულია, რომ დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის დაკისრება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას. მასწავლებლისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შეიტანება მის პირად საქმეში. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმის ხარისხის ის შედეგი, რაც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან.

ბრძანებაში გაწერილია ის დეტალები, რომლებიც მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესს არეგულირებს – რა ეთვლება პედაგოგს დარღვევებად და რა სახის სანქციები ეკისრება. მითითებულია ისიც, თუ ვინ ადგენს პედაგოგის გადაცდომის სიმძიმეს და ვის გამოაქვს საბოლოო განაჩენი და რა ვადებში.

გვერდი 2

„მაღალი ავტონომიურობის მქონე სკოლას, ცხადია, უნდა ჰქონდეს დისციპლინის რეგულირების პროცედურები, ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელია. როდესაც ცენტრალიზებული გზით ხდება ბრძანებების გამოცემა და სხვადასხვა საკითხების რეგულირება, ეს ადმინისტრაციული ავტონომიის შეზღუდვას გულისხმობს, ანუ ცენტრალიზებულად ხდება საკითხების რეგულირება. ცვლილება არ იქნება ქმედითი და ვერ შეცვლის დისციპლინის რეგულირების სფეროს.

დღეს მთავარი გამოწვევა არის სკოლაში მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მოხარული ვიქნებოდი, თუ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნებოდა კვალიფიციური კადრის სკოლაში დასაქმების პროცედურები. სამწუხაროდ, 2015 წელი ვერ გახდა ის თარიღი, როდესაც სკოლის კარი გაიღებოდა სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის.“ **თამარ მოსიაშვილი**

„რეალურად ამ ცვლილების შეტანა კანონით იყო გათვალისწინებული და წელს უნდა მომხდარიყო. მე თუ მკითხავთ, ეს დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. იდეაში კი, ეს ყველაფერი სწორად არ იქნა აღქმული.

არ მიმაჩნია, რომ დირექტორს რაიმე უფლება წაართვეს, უბრალოდ, ამ უფლებების განხორციელება უფრო მეტი პროცედურის გავლას მოიცავს. საბოლოო ჯამში, ეს პროცედურები სკოლის საზოგადოებაზე, ანუ არჩეულ ადამიანებზე გადის.“ **გიორგი კაკაბაძე**

„ამ წეს-კანონში ბევრი რამ უფრო მეტად იმ კუთხითაა მნიშვნელოვანი, როგორ უნდა იმუშაოს დამცავმა მექანიზმმა, თითქოს, ერთი შეხედვით, მასწავლებლების ინტერესების დასაცავად. მაგრამ ინფორმირება დაიწყეს მაინცდამაინც ლოთი მასწავლებლების, ეთიკური ნორმების გადამცდენი მასწავლებლების და, ამავდროულად, იმ სახდელებისა თუ ტერმინოლოგიების ხსენებით, რაც ყველა შემთხვევაში ძალიან ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანს, რა პროფესიისაც არ უნდა ყოფილიყო, გააღიზიანებდა.“ **თამარ ბარისაშვილი**

„აღმოჩნდა, რომ ჩვენი სკოლის შინაგანაწესი უკვე მოყვანილია შესაბამისობაში ბრძანებასთან. ფაქტობრივად, ახალი არაფერია. ჩვენი სკოლის შინაგანაწესშიც წერია და როგორც გავარკვიე, ყველა სკოლის შინაგანაწესში იდო ის მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც დისციპლინური წესით მასწავლებლებს ეკისრებათ. მათ შორის არც სახდელებია ახალი.“ **ნინო ნაბახტეველი**

„ჩემთვის ცოტა გაუგებარია ცალკე პედაგოგებისთვის რატომ იყო გამოსაყოფი ქცევის წესებთან დაკავშირებულ ნორმებზე საუბარი. მე მგონი მასწავლებლებიც ადამიანები არიან და, ზოგადად, კანონმდებლობა, რომელიც სხვა ადამიანების მიმართ მოქმედებს, მათაც ისევე ეხებათ, როგორც დანარჩენებს. სიმართლე გითხრათ, ამიტომ ვერ გავიგე კარგად, რა მიზანს ისახავდა განათლების სამინისტრო ამ ბრძანების გამოცემით.“ **მაია მიქაძე**

გამოხმაურება

რას ედავება პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

გვერდი 4

მწვავე თემა

გადავარჩინოთ ხაიში ჩაძირვას

გვერდი 5

აქტუალური თემა

ახალი რეგულაციებით დაწესებული მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომები და სახდელები

ლალი ჯელაძე

რა შეიცვალა რეალურად?

ახალი წესით დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც სკოლაში ირჩევა ერთი წლის ვადით და მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შევიდეს პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი მოსწავლის მიმართვა ხდება და არა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიმართვა, როგორც აქამდე იყო. ახალი ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს: ა) მოსწავლის, მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის, შესაბამის სკოლაში დასაქმებული პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დისციპლინური წარმოება იწყება: ა) სკოლის სამეურვეო საბჭოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე; ბ) სკოლის დირექტორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ცვლილება დისციპლინური წარმოების დაწყების ხანდაზმულობის ვადასაც ეხება. მე-19 მუხლის თანახმად, „მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 წლისა.“ განათლების პროფკავშირისთვის სწორედ ეს მუხლი გახდა გაუგებარი და მათი შენიშვნაც სწორედ ხანდაზმულობის 3-წლიანმა ვადამ გამოიწვია.

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის, **ნინო კვიტაიშვილის** *განცხადებით, შეიქმნა სერიოზული დამცავი მექანიზმი მასწავლებლებისთვის: „ყველა საჯარო სკოლისთვის, გარკვეულწილად, უნდა არსებობდეს ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო და, ყველა შემთხვევაში, მასწავლებლის მიმართ დაახლოებით ერთი ტიპის დამოკიდებულება. სწორედ ამ მიზნით დამტკიცდა მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი. ის თავის თავში მოიაზრებს რეგულაციებს, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, სკოლამ რა ქმედებებს უნდა მიმართოს; როგორ უნდა განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმა; როგორი გასაჩივრების უფლებით არის აღჭურვილი პედაგოგი; რა დამცავი მექანიზმი არსებობს იმისათვის, რომ სკოლას არ ჰქონდეს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების უფლება“.*

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტი **თამარ მოსიაშვილი** *კი მიიჩნევს, რომ „მაღალი ავტონომიურობის მქონე სკოლას, ცხადია, უნდა ჰქონდეს დისციპლინის რეგულირების პროცედურები, ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელია“. ცვლილებას კი მოკლედ ასე აჯამებს: „როდესაც ცენტრალიზებული გზით ხდება ბრძანებების გამოცემა და სხვადასხვა საკითხების რეგულირება, ეს ადმინისტრაციული ავტონომიის შეზღუდვას გულისხმობს, ანუ ცენტრალიზებულად ხდება საკითხების რეგულირება. ცვლილება არ იქნება ქმედითი და ვერ შეცვლის დისციპლინის რეგულირების სფეროს. ასე რომ, დისციპლინური კომიტეტის ქმედუნარიანობის ზრდის ინსტრუმენტად ამ ბრძანებას ვერ მივიჩნევ. დისციპლინის რეგულირების, ანუ შინაგანაწესზე კონტროლის უფლებამოსილება აქვს დირექტორს. იბადება კითხვა: რამდენად თავისუფალია დირექტორი სკოლაში დაიწყოს პროფესიონალი კადრების მოზიდვის პროცესი, აკონტროლოს სკოლის შინაგანაწესი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები? ჩვენს ქვეყანაში, ჯერჯერობით, ის გადაწყვეტილებაც ვერ იქნა მიღებული, რომ სერტიფიცირება გამხდარიყო მასწავლებლის სკოლაში დასაქმების შესაძლებლობა. ყველაფერი რეგულირდება, მათ შორის, ადმინისტრაციული ავტონომიაც.*

დღეს მთავარი გამოწვევა არის სკოლაში მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მოხარული ვიქნებოდი, თუ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნებოდა კვალიფიციური კადრის სკოლაში დასაქმების პროცედურები. სამწუხაროდ, 2015 წელი ვერ გახდა ის თარიღი, როდესაც სკოლის კარი გაიღებოდა სერტიფიცირებული მასწავლებლებისთვის.“

სკოლის ავტონომიის შეზღუდვას არ ეთანხმებიან სამინისტროში, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სკოლის ატონომიურობის, მისი თავისუფლების მაღალი ხარისხის მანიშნებელი პუნქტები. „მასწავლებლის სხვა დისციპლინური გადაცდომები შესაძლებელია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით“ (მუხლი 2, მე-2 პუნქტი); *„დისციპლინური სახდელის სხვა სახე შესაძლებელია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით“* (მუხლი 3); *მუხლი 18. დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა და ვადაზე ადრე მოხსნის წესი, 1-ელი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: 1. დისციპლინური სახდელის (გარდა ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელისა) მოქმედების ვადაა 1 წელი, შესაბამისი დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ პუნქტით დადგენილ მაქსიმალურ ვადას. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის წესი განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.*

წესის მიხედვით გადაცდომის სახეებს ადგენს სკოლა – სკოლის შინაგანაწესი, ხოლო დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე პასუხისმგებელია დისციპლინური კომიტეტი, კონკრეტულ მასწავლებელზე კი დაკვირვება შეიძლება დაიწყოს მას შემდეგ, რაც კომიტეტს მიმართავს მშობელი, სკოლაში დასაქმებული პირი და მოსწავლეც კი. საბოლოო სიტყვას დირექტორი ამბობს, თუმცა განაჩენი არც ეს იქნება, რადგან დირექტორიც შეიძლება შევიდეს შეცდომაში, ამიტომ მასწავლებელს გასაჩივრების უფლება აქვს სამეურვეო საბჭოში. „დისციპლინური კომიტეტი არის დამცავი მექანიზმი ნებისმიერი პედაგოგისათვის და იგი დაცულია ადმინისტრაციის ან დირექტორის მხრიდან ნებისმიერი სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებისაგან – აცხადებს **ნინო კვიტაიშვილი** – *სწორედ ამიტომ, დაცვის მექანიზმის არსებობის მიზნით, ამუშავდა აღნიშნული წესი. წესის შემუშავებაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონკრეტული სპეციალისტების გარდა, ჩართული იყვნენ პედაგოგები, სკოლები და არასამთავრობო სექტორი. ჯგუფი დაახლოებით 20 ადამიანისგან შედგებოდა და მათ შორის ვიყავი მეც. შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებითაც საბოლოოდ დამტკიცდა მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომის წესი“.*

დისციპლინური გადაცდომის წესში აღნიშნულია, რომ სკოლებმა წესის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში შინაგანაწესი შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ. მართალია, სკოლებში შინაგანაწესი აქამდეც არსებობდა, თუმცა, როგორც სამინისტროში მიიჩნევენ, ის იმდენად ქაოტური იყო, რომ ხშირად ცდებოდა სამართლებრივ ჩარჩოებს. ამის ბევრი მაგალითიც არსებობს – კონკრეტული პედაგოგები ხშირად ხდებოდნენ უსამართლო გადაწყვეტილებების მსხვერპლნი. **ნინო კვიტაიშვილის** *განცხადებით – „ეს არის გარკვეული უნიფიცირებული სისტემა, რომელიც გააერთიანებს ყველა საჯარო სკოლას, სადაც მასწავლებლის მიმართ გარკვეული დისციპლინური დევნა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩამოთვლილ კონკრეტულ შემთხვევებს ექნება ადგილი. დისციპლინური კომიტეტი თავის რეკომენდაციას მოკვლევის წარმოებისა და გარკვეული შედეგის დადგომის შემდეგ გააცნობს სკოლის დირექტორს. სკოლის დირექტორს დასჭირდება სერიოზული არგუმენტირებული უარი ან თანხმობა დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების არგათვალისწინების შემთხვევაში“.*

წესიდან გამომდინარე, დისციპლინური კომიტეტის როლი და ფუნქცია მნიშვნელოვანია, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება კი – მეტად საფრთხილო და საპასუხისმგებლო, რადგანაც დირექტორმა, ოქმის მიღებიდან არაუგვიანეს 4 დღის ვადაში, უნდა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – მასწავლებლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით ან უარი თქვას მასწავლებელზე სახდელის დაკისრებაზე. ორივე შემთხვევაში, დირექტორს მოუწევს წერილობითი დასაბუთება, განმარტება – რეგულაცია მასწავლებლის მიმართ ობიექტური, გამჭვირვალე, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.

და მაინც, რატომ გახდა აუცილებელი მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცება, ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** *განაცხადა, რომ „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ავალდებულებს სამინისტროს ამ რეგულაციების 2015 წლის დასაწყისისთვის დამტკიცებას. „შესაბამისად, მთელი 2014 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა. აქედან გამომდინარე, ეს, უბრალოდ, გარდაუვალი იყო“. პედაგოგთა პროტესტს კი, მინისტრის აზრით, იწვევს ის ფაქტი, რომ პედაგოგები ბრძანების შინაარსს ბოლომდე არ იცნობენ: „მინდა გითხრათ, რომ ბრძანებაში და პროცედურებში განსხვავებული და ახალი არაფერია, რაც აქამდე არ იყო. იმიტომ, რომ ეს რეგულაციები და პროცედურები არა იმ სახით, მაგრამ გაფანტული სახით არსებობდა სამ დოკუმენტში – კანონი, ეთიკის კოდექსი და დებულება. შესაბამისად, რადგანაც კანონი ამას გვავალდებულებდა, თავი მოვუყარეთ იმ ოპტიმალურ ვერსიას და ვარიანტს, რომელიც შეიძლებოდა ამ სამი დოკუმენტის საფუძველზე ჩამოყალიბებულიყო.“*

რას უნდა ველოდოთ ამ რეგულაციების ამოქმედების შემდეგ? მინისტრი აცხადებს, რომ „ეს პროცედურები გარკვეულ ფილტრს წარმოადგენს და ვფიქრობ, ხელს შეუწყობს პედაგოგს, ყველა პროცედურა (თუ ამის საჭიროება დადგება) გაიაროს და თავისი სიმართლე დაამტკიცოს. მას მეტი ბერკეტი ექნება, რომ თავი დაიცვას პროცედურების მიხედვით, ვიდრე აქამდე შეეძლო.“ დისციპლინური კომიტეტების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის გარანტად კი მინისტრს ისევ და ისევ კანონი მიაჩნია, რადგან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში 2005 წლიდან მოქმედებს მუხლი, რომელიც აკონკრეტებს, რომ ასეთი პროცედურები უნდა გაიარონ დისციპლინური კომიტეტის ფარგლებში. კანონივე ადგენს შემადგენლობას, თუ ვისით უნდა დაკომპლექტდეს კომიტეტი, შესაბამისად, ეს ყველაფერი სკოლის შიგნით ხდება.

უმთავრესი მიზანი, ცვლილებების განხოცრიელებისას, უნდა გახდეს ის, თუ რამდენად მოემსახურება ეს ყველაფერი მოსწავლეთა ინტერესებს და რამდენად გააუმჯობესებს რეაგირებას პედაგოგთა მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევებზე ან უბრალოდ, დაიცავს კი მასწავლებლებს არაეთიკურობისგან რაიმე რეგულაციის დაწესება, თუკი ის არაეთიკურია? მასწავლებლის დისციპლინის რეგულაციები დღემდეც არსებობდა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსსა და „ზოგადი განათლების კანონში“ იყო გაწერილი, სკოლის შინაგანაწესი კი სკოლის სამოქმედო დოკუმენტია. მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების აღნიშნული წესი საჯარო სკოლების მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომების ნუსხას განსაზღვრავს და არ ეხება კერძო სკოლის მასწავლებლებს, რადგანაც მათ დისციპლინურ გადაცდომებს თავად კერძო სკოლის მიერ დადგენილი დისციპლინური წარმოების წესი განსაზღვრავს.

დისციპლინური წარმოების წესის მიხედვით რეალურად გაფართოვდა იმ პირთა წრე, ვისაც შეუძლია მიმართვა დისციპლინური წარმოების დასაწყებად და, გარკვეულწილად, გამკაცრდა სახდელის ზომებიც; დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა 1 წლით განისაზღვრა და სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის წესი სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება. სახდელის მოქმედების პერიოდში კი მასწავლებლის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ფორმები, გამონაკლისი შეიძლება სკოლის დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით. სკოლებს 3 თვის ვადა მიეცათ იმისთვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესი ამ წესთან შესაბამისობაში მოიყვანონ. საინტერესოა, როგორ შეხვდნენ პედაგოგები და დირექტორები ახალი რეგულაციებით დაწესებულ გადაცდომების ნუსხასა და სახდელებს და როგორ გეგმავენ ახალი ცვლილების პრაქტიკაში განხორციელებას?

ნინო ნაბახტეველი, *23-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „აღმოჩნდა, რომ ჩვენი სკოლის შინაგანაწესი უკვე მოყვანილია შესაბამისობაში ბრძანებასთან. ფაქტობრივად, ახალი არაფერია. ჩვენი სკოლის შინაგანაწესშიც წერია და როგორც გავარკვიე, ყველა სკოლის შინაგანაწესში იდო ის მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც დისციპლინური წესით მასწავლებლებს ეკისრებათ. მათ შორის არც სახდელებია ახალი.*

გამიხარდა ის, რომ ადრე დირექტორს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება სახდელის დადების შესახებ, ახლა კი დისციპლინურმა კომიტეტმა უნდა განიხილოს, რომელშიც მასწავლებელიც შედის და მშობელიც. ეს უკეთესიც არის იმიტომ, რომ სანამ დისციპლინური კომიტეტი იმსჯელებს, მანამ კოლეგები განიხილავენ და შეიძლება სხვაგვარადაც კი შეტრიალდეს ყველაფერი და არ მოხდეს სახდელების დადება პირადი დამოკიდებულების მიხედვით. ამით სუბიექტური აზრი გამოირიცხება. აი, ამ კუთხით არის ცვლილება, თორემ თავად დისციპლინური გადაცდომები და სახდელები არ შეცვლილა.“

თამარ ბარისაშვილი: *24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „ძალიან საწყენი იყო ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის ამ წესის საინფორმაციო საშუალებებით გამოცხადება. მასწავლებლების ინფორმირება, მაინცდამაინც, 3 იანვარს მოხდა, როდესაც ყველა იმის მოლოდინში იყო, რომ საახალწლოდ განათლების სამინისტროსგან მილოცვა იქნებოდა და არა დისციპლინურ გადაცდომებზე საუბარი. ამ წეს-კანონში ბევრი რამ უფრო მეტად იმ კუთხითაა მნიშვნელოვანი, როგორ უნდა იმუშაოს დამცავმა მექანიზმმა, თითქოს ერთი შეხედვით, მასწავლებლების ინტერესების დასაცავად. მაგრამ ინფორმირება დაიწყეს მაინცდამაინც ლოთი მასწავლებლების, ეთიკური ნორმების გადამცდენი მასწავლებლების და, ამავდროულად, იმ სახდელებისა თუ ტერმინოლოგიების ხსენებით, რაც ყველა შემთხვევაში ძალიან ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანს, რა პროფესიისაც არ უნდა ყოფილიყო, გააღიზიანებდა. მით უმეტეს, მასწავლებელი, რომელსაც შთაგონებული აქვს, რომ მას უნდა ეკითხებოდნენ და არა სჯიდნენ, იმიტომ კი არა, რომ გადამეტებული თვითრწმენა გვაქვს, უბრალოდ, წარმოუდგენელია მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი თავის არ სჯერა – ის მასწავლებლად ვერ იმუშავებს. ადამიანს, რომელსაც აქვს იმის შინაგანი განცდა, რომ ნამდვილად შეუძლია მოქალაქეობრივი მრწამსით იყოს კეთილი ნების გამომხატველი, ტელევიზიიდან, საახალწლოდ – საშობაო კვირაში თითს უქნევენ და ეუბნებიან, რომ სახდელს მიუყენებენ თუ ეთიკური გადაცდენის შემთხვევებს დაუფიქსირებენ. შეუმცდარი არავინაა, მით უმეტეს, მასწავლებლებმა კარგად ვიცით, რომ ყველაფერი შეიძლება შეცდომად ჩაგვითვალონ, თუ ძალიან ზემოდან გადმოვხედავთ ჩვენს ცხოვრებასა და საქმიანობას. რაც მეტია პროფესიონალიზმი, მით მეტია საკუთარი თავისადმი თვითკრიტიკაც, მაგრამ გაცნობის და მიწოდების ფორმა იყო არაეთიკური, რაც, თავისთავად, მიუღებელი აღმოჩნდა პედაგოგებისთვის. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ, ალბათ, ნაკლებად ფიქრობენ მასწავლებლების ღირსებაზე. ეს ჩემი პირადი შეხედულებაა, იმიტომ, რომ თუ ადამიანს ღირსებით მოვეკიდებით მის გაღიზიანებას არანაირი წეს-კანონი (თუ ის ნამდვილად წესი და კანონია) არ გამოიწვევს. რასაკვირველია, სიღრმისეულად გავეცანით, კათედრამაც მივიღეთ მონაწილეობა, შემდეგ ჩვენი პოზიციები შევაჯერეთ და მაინც ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა ჩვენს თავთანაც და იმ საზოგადოების მიმართაც, რომელიც ამას გვთავაზობს. კერძოდ, მიუღებელია ტერმინი „ექსპერტი“ და „ექსპერტიზა“ – თუ ვინმე მეტყვის, რომ ეს ტერმინები აქ პირობითადაა ნახმარი, მაშინ კანონთან მიმართებაში პირობითობა რა შუაშია. ნებისმიერი საგნის სპეციალიტს სად აქვს იმის დრო, ექსპერტების დონეზე იკვლიოს, სასწავლო პროცესის პარალელურად, მასწავლებლის ეთიკური ნორმის გადაცდენა-არგადაცდენა.*

უხერხულობას ქმნის, ასევე, საუბარი იმ საკითხზე, რასაც ნდობის ფაქტორი ჰქვია. ერთმანეთის მიმართ კოლეგებს ნდობა, რასაკვირველია, გვაქვს. მაგალითისთვის, ავიღოთ ჩვენი 100-კაციანი კოლექტივი – ამ სკოლაში 100 მასწავლებელი თანამშრომლობს, თუ კომისია, რომელიც ამ საკითხებს დაარეგულირებს იქნება მაქსიმუმ 10-კაციანი, მაშინ 100 მასწავ-

აქტუალური თემა

ლებლის ცხოვრების 10 მასწავლებლის თვალით დანახვა რამდენად რეალურია? და საერთოდ, აღარ დადგა დრო, რომ მასწავლებლებს ჩვენი საქმე გვაკეთებინონ?

გადაცდომის ელემენტი, სუბიექტური ხედვით, შეიძლება ყველა მასწავლებელს ვუპოვოთ – მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეს მაქსიმალურად მოსთხოვა გაკვეთილის ცოდნა ან დავალების შესრულება და არა ელემენტარულად და მას არადამაკმაყოფილებელი დაუწერა. ეს შეიძლება მშობლის გაღიზიანების საბაბი გახდეს ან უამრავი მსგავსი შემთხვევა. ეს მასწავლებლის გადაცდომად უნდა ჩავთვალოთ? და ამის გამო მან თავი იმართლოს? კანონში კი წერია, რომ მასწავლებელს დუმილის უფლება აქვს, მაგრამ ამ მასწავლებლის ქმედებაზე რომ სჯა-ბაასი გაიმართება და საექსპერტო მასალების შეგროვება დაიწყება, ვინმემ იფიქრა, როგორი იქნება მისი ფსიქიკური მდგომარეობა? როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს? – მშვიდი? რატომ ვქმნით ბარიერს, არ მესმის, გვაკლია მასწავლებლებს წინაღობები?

თავისთავად, როცა არსებობს პრეტენზია იმისა, რომ მასწავლებლებს მოუწოდონ როგორ იცხოვრონ და ეთიკური ნორმები არ დაარღვიონ, თვითონ ჭკუის დამრიგებლებს მეტი მოეთხოვება, მათ მასწავლებლის მოტივაციაზეც უნდა იფიქრონ. სამწუხაროდ, ჯერ ისედაც არ არის მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია და, ამ ფონზე, მას საერთოდ ხომ არ უნდა ჩაუკლა ინდივიდუალური შემოქმედებითი თავისუფლება. თუ ასე გამოეკიდება ვინმე მასწავლებელს, რაც უნდა კვალიფიციური იყოს ის, მიზეზს ყოველთვის უპოვის. ამ მიზეზების ძებნაში გავატაროთ დრო, სასკოლო საათები თუ ვიფიქროთ იმაზე, რა და როგორ ვასწავლოთ.“

მაია მიქაძე, 24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„ნამდვილად არ მინდა ამ თემაზე ბევრი ლაპარაკი, იმიტომ რომ ჩემთვის ცოტა გაუგებარია ცალკე პედაგოგებისთვის რატომ იყო გამოსაყოფი ქცევის წესებთან დაკავშირებულ ნორმებზე საუბარი. მე მგონი მასწავლებლებიც ადამიანები არიან და, ზოგადად, კანონმდებლობა, რომელიც სხვა ადამიანების მიმართ მოქმედებს, მათაც ისევე ეხებათ, როგორც დანარჩენებს. სიმართლე გითხრათ, ამიტომ ვერ გავიგე კარგად, რა მიზანს ისახავდა განათლების სამინისტრო ამ ბრძანების გამოცემით.*

მეტ-ნაკლებად, მასწავლებელს, რომელიც სკოლაში შედის და იქ მუშაობას აგრძელებს, გაცნობიერებული აქვს ყველაფერი – რა მისია აკისრია და რა მოეთხოვება. კიდევ ასე დამძიმება და დამატებითი ტვირთის დაკისრება რა საჭიროა ვერ გავიგე. ვიფიქრე და ერთადერთი ახსნა, რაც ამას მოვუძებნე, არის ის, რომ ეს შეიძლება იყოს პროფესიულ სქემაში ჩართვის იძულებითი ბერკეტი. მე პირადად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვის არანაირი სურვილი არ მაქვს. შიშის ფაქტორი იმუშავებს, თუკი დაფრთხებიან მასწავლებლები და გამუდმებით იმაზე იფიქრებენ, რომ ყოველ ნაბიჯზე უთვალთვალებენ და მათ ქცევას აკონტროლებენ, ეს მათ მეტად დათრგუნავთ. დათრგუნული და შეშინებული კი იოლი სამართავია.“

გიორგი კაკაბაძე: 24-ე სკოლის დირექტორი: *„რეალურად ამ ცვლილების შეტანა კანონით იყო გათვალისწინებული და წელს უნდა მომხდარიყო. მე თუ მკითხავთ, ეს დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია. იდეაში კი, ეს ყველაფერი სწორად არ იქნა აღქმული. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ახალი სასჯელები შემოდის, არადა ეს ყველაფერი შინაგანაწესშიც ასე იყო. ისედაც ისჯებოდა ყველა ეს ქმედება. აქ საუბარია იმაზე, რომ მოკვლევას და პირველ გადაწყვეტილებას მიიღებს დისციპლინური საბჭო და არა დირექტორი – ეს რეალურად დემოკრატიული ნაბიჯია. სხვა საკითხია, რამდენადაა მზად დისციპლინური საბჭო მოკვლევისთვის.*

დისციპლინური საბჭო სამეურვეო საბჭოს მიერაა არჩეული, აქედან გამომდინარე, ალბათ, გარკვეულწილად, სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობაცაა მათი ქმედებები. თუმცა დირექტორსაც შეუძლია, არ დაეთანხმოს საბჭოს გადაწყვეტილებაში და დაასაბუთოს, რატომ არ ეთანხმება. რეალურად, თუ სკოლის შიგნით გარემო დემოკრატიულია, მაშინ ეს არც უნდა ხდებოდეს. სხვა საკითხია, რამდენად მზადაა ამ პასუხისმგებლობისთვის სტრუქტურული ერთეულები. ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ის კი შემიძლია გითხრათ, რომ თუ სადმე სამეურვეო საბჭო კარგად მუშაობს, მათ შორისაა ჩვენი სკოლაც. ჩვენთან ყველაფერი განხილვადია და ჩართულები ვართ პროცესებში – პედსაბჭოზეც ბევრი საკითხი განიხილება და სამეურვეო საბჭოც ცდილობს, მაქსიმალურად გამოიკითხოს მშობლებისა და მასწავლებლების აზრი და ამის შემდეგ მივიღოთ ესა თუ ის გადაწყვეტილება– ეს პროცესებს მაქსიმალურად გამჭვირვალეს ხდის.

არ ვფიქრობ, რომ ამ ბრძანებით დირექტორის უფლება იზღუდება. მართალია, პირველ ეტაპზე, გადაწყვეტილებას დისციპლინური საბჭო იღებს, თუმცა შემდეგ დირექტორს აქვს დასაბუთების უფლება, ანუ არმიღების უფლება, თუკი მასწავლებლის დასჯას არ ეთანხმება. პრინციპში პროცედურა გართულებულია, მაგრამ დირექტორის უფლება შეუზღუდავია. სკოლის ავტონომია პირდაპირ კავშირშია სასკოლო საზოგადოების აქტიურობასთან, განსწავლულობასა და ჩახედულობასთან – სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებშიც, ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც და ა.შ. თავიდან საკმაოდ რთული იქნება გადაწყვეტილებების მიღება, უფრო მეტად კი, სწორად მოკვლევა ამ პროცედურების, იმიტომ რომ შინაგანაწესი ამის საშუალებას იძლევა. როცა ყველაფერს გავითვალისწინებთ და შინაგანაწესს დავადგენთ, იქ პირდაპირ ჩაიწერება, რა დარღვევის შემთხვევაში რა სახდელი უნდა დაეკისროს მასწავლებელს. გადაცდომის მოკვლევა და დადასტურება კი, როგორც აღვნიშნეთ, დისციპლინური კომიტეტის ხელში გადადის და ეს პრობლემა მან უნდა მოაგვაროს. აქვე გეტყვით იმასაც, რომ მასწავლებელს დუმილის უფლება აქვს და არ აქვს ვალდებულება, თავი იმართლოს.

არ მიმაჩნია, რომ დირექტორს რაიმე უფლება წაართვეს, უბრალოდ, ამ უფლებების განხოცრიელება უფრო მეტი პროცედურის გავლას მოიცავს. საბოლოო ჯამში, ეს პროცედურები სკოლის საზოგადოებაზე, ანუ არჩეულ ადამიანებზე გადის.

რაც შეეხება ობიექტურობის გარანტს, გეტყვით: მაგალითად, ინგლისს პრეცედენტული სამართალი აქვს, მაგრამ იქაც კი ობიექტურობის აბსოლუტური გარანტი არ არსებობს. ყველაფერი ეს კომპეტენტური ადამიანების შეხედულებებზეა დამოკიდებული ისე როგორც, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემთხვევაში. გამარტივებულია გასაჩივრების პროცედურაც, გასაჩივრება სამერვეო საბჭოდან იწყება, რის შემდეგაც, არდაკმაყოფილების შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია, მოკვლევის დოკუმენტები სამინისტროში ან სასამართლოშიც კი წაიღოს.

ამ ბრძანებით ყველაფერი უფრო დაკონკრეტდა, უბრალოდ, პროცედურები გაიზარდა.

პედაგოგებს, რასაკვირველია, ბრძანება გავაცანი, შემდეგ პედსაბჭოზეც განვიხილეთ, თუმცა იქ ძალიან ბევრ კითხვაზე მომიწია პასუხის გაცემა, რადგან დოკუმენტს, კარგად წაკითხვის გარდა, კარგად გაგაზრებაც სჭირდება. პედაგოგებს შევთავაზე, შეგვექმნა მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ მშობლებთან, გამოკითხავენ მათ, რა შენიშვნები აქვთ მასწავლებლების მიმართ – სასწავლო ან საგაკვეთილო პროცესში. არის შემთხვევები, როცა მშობლებს პრეტენზიები აქვთ საკლასო წერებთან ან გაკვეთილის ახსნასთან დაკავშირებით. სწორედ ამის გამო ავამუშავეთ მონიტორინგის ჯგუფები, ამ ტიპის საჩივრები რომ გამოვრიცხოთ, რადგან დისციპლინურ საბჭოებს ამ საჩივრებზე მუშაობა გაუჭირდებათ, ვინაიდან აქ საქმე მასწავლებელთა თვითშემოქმედების თავისუფლებას ეხება. მონიტორინგის ჯგუფები, გარდა იმისა, რომ იმუშავებენ მშობელთან და მათ გამოკითხავენ, დაესწრებიან გაკვეთილებსაც, დაწერენ რეკომენდაციებს. ისევ შევიკრიბებით და მოვაწყობთ განხილვას. როცა დავრწმუნდები, რომ პედაგოგებს ეს ყველაფერი კარგად აქვთ გაცნობიერებული და გაგაზრებული, მხოლოდ შემდეგ ვიფიქრებ შინაგანაწესზე.

ოდესღაც ეს ყველაფერი ხომ უნდა დაწყებულიყო, თუკი სკოლა უნდა იყოს დემოკრატიული, სწორედ ასეთი უნდა იყოს. სხვა საკითხია, როგორია საზოგადოების მზაობა. პროცესი რომ სწორად წარიმართოს, საჭიროა პასუხისმგებლობების გადანაწილება და ამის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ მართვის სწორი საშუალება. პასუხისმგებლობები გადანაწილებულია, ვნახოთ, ნელ-ნელა მივყვეთ პროცესებს.“

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი

განცხადება
კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების საფუძველზე, შ.პ.ს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში, 2015 წლის 22 იანვრიდან, ცხადდება ღია კონკურსი პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, სამართლის მიმართულებით:

ა) პროფესორი – ორი ვაკანსია;
ბ) ასოცირებული პროფესორი – ორი ვაკანსია.

აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმებია:
ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
გ) შესაბამისი მიმართულებისათვის აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები.

საკონკურსო მოთხოვნები

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 6 წლის გამოცდილება;
გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – კონკურსანტის მიერ არჩეული შესაბამისი დარგის თემატიკით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული, სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 3 წლის გამოცდილება;
გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – კონკურსანტის მიერ არჩეული შესაბამისი დარგის თემატიკით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული, სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები.

საკონკურსო დოკუმენტაცია

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღების ვადაა 2015 წლის 23 თებერვლიდან 2015 წლის 2 მარტის ჩათვლით. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 6 მარტს.
საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან 17 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართებზე:
ა) გორი, ცხინვალის გზ. №9;
ბ) თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №9ა;
საბუთების ელექტრონული მიღება იწარმოებს ასევე ელექტრონული ფოსტის – info@sukhishvili.edu.ge – მეშვეობით.

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი, ბეჭდვითი ფორმით;
ბ) ავტობიოგრაფია (CV), ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით;
გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი დარგის სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები, ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები;
ზ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი;
თ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა სასურველია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობები სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებსა და ექსპედიციებში; ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ამაღლებული კვალიფიკაციები, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, სამეცნიერო უნივერსიტეტების საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა, სექციის ხალმძღვანელობა და სხვ.; მიმართულების განვითარების კონცეფცია).

განცხადება
კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების საფუძველზე, შ.პ.ს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში, 2015 წლის 22 იანვრიდან, ცხადდება ღია კონკურსი პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების პროფესიული ნიშნით დასაკავებლად, სამართლის მიმართულებით:

ა) პროფესორი – ორი ვაკანსია;
ბ) ასოცირებული პროფესორი – ორი ვაკანსია.

აკადემიური პერსონალის პროფესიული ნიშნით საკონკურსო კრიტერიუმებია:
ა) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
ბ) შესაბამისი მიმართულებისათვის აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები.

პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს მისი პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

საკონკურსო დოკუმენტაცია

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღების ვადაა 2015 წლის 23 თებერვლიდან 2015 წლის 2 მარტის ჩათვლით. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 6 მარტს.

საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში დილის 10 საათიდან 17 საათის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე:
ა) გორი, ცხინვალის გზ. №9;
ბ) თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.№9ა.
საბუთების ელექტრონული მიღება იწარმოებს ასევე ელექტრონული ფოსტის – info@sukhishvili.edu.ge – მეშვეობით.

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი, ბეჭდვითი ფორმით;
ბ) ავტობიოგრაფია (CV), ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით;
გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი დარგის სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები, ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, სტატიები, მონოგრაფიები ან სახელმძღვანელოები;
ზ) პროფესიული გამოცდილების ან სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
თ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა სასურველია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობები სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებსა და ექსპედიციებში; ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ამაღლებული კვალიფიკაციები, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, სამეცნიერო უნივერსიტეტების საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა, სექციის ხალმძღვანელობა და სხვ.; მიმართულების განვითარების კონცეფცია).

ვადის ან მოთხოვნილი პიროგების დარღვევით წარდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
კონკურსის შედეგები დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, გორის რაიონულ სასამართლოში
მისამართი: გორი, სერგო ჯორბენაძის №30
საკონკურსო კომისიის სამდივნოს საკონტაქტო რეკვიზიტებია: გორი, ტელ: (0 (370) 27 05 57; თბილისი, ტელ: 0 32 2 51 94 95
შ.პ.ს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია

გამოხმაურება

რას ელავება პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

მკითხველისთვის ცნობილია, რომ პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირების თავმჯდომარემ, ბატონმა **დენის დავითაშვილმა**, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სასარჩელო განცხადებით, გაეუქმებინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 5 ნოემბრის №688 ბრძანება. სარჩელის წარმოებაში მიღებამ გამოიწვია ბრძანებით გახსნილ ჯგუფებში მეცადინეობის შეწყვეტა, რასაც მოჰყვა პედაგოგების, მოსწავლეების და იმ კოლეჯების ადმინისტრაციის უკმაყოფილება, რომლებშიც აღნიშნული ბრძანებით უნდა განხორციელებულიყო საპილოტე სწავლება მოდულების მიხედვით. რატომ წავიდა ამ, ერთი შეხედვით ალოგიკურ, მოქმედებაზე პროფკავშირული ორგანიზაცია, ამის გასარკვევად საჭირო იქნება, ცოტა ღრმად ჩავიხედოთ პროფესიული განათლების პრობლემებში.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციები (იგულისხმება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კოლეჯები) პროგრამულად ფუნქციონირებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო ორგანიზაციები თავად აფასებენ, რომელი პროფესიების მომზადების შესაძლებლობები აქვთ. შემდეგ წერენ სასწავლო პროგრამას იმ პროფესიებზე, რომელთა მომზადების სურვილიც აქვთ. ერთი სიტყვით, თვითონ გეგმავენ, რომელ პროფესიებში უნდა მოამზადონ სტუდენტები. მხოლოდ ეს პროფესიები უნდა იყოს დარეგისტრირებული ეროვნულ საკვალიფიკაციო სიაში, ან უნდა არსებობდეს ამ პროფესიების დამტკიცებული პროფესიული სტანდარტი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში მათ თავად შეუძლიათ დაწერონ პროფესიული სტანდარტის პროექტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში შეიტანონ თავიანთ განსახორციელებელ პროფესიების სიაში და მიიღონ ავტორიზაცია აღნიშნული პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად. ეს ყველაფერი იმისთვის მოვყევი, რომ განმემარტა, რა არის პროგრამული მომზადების მეთოდი და როგორ იქმნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, შესაბამისად, პროფესიული სტანდარტი. კანონმდებლობით ეს საქმე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ევალება.

დღევანდელი მდგომარეობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო სიაში დარეგისტრირებულია 250-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი, მათ შორის არ არის ხარატის პროფესიული სტანდარტი, სამაგიეროდ, მრავლად არის პრესტიჟული პროფესიები, ისეთები როგორიცაა: გიდის, კრიმინალისტიკის, ექთნის თუ ექთნის თანაშემწის პროფესიები. საქმე ისაა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო სიის შედგენა დამოკიდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივაზე, რომლებიც ცდილობენ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები წარადგინონ, რომ სტუდენტების მოზიდვა ადვილად შეიძლებოდეს. ამიტომაა ეროვნულ საკვალიფიკაციო სიაში უმეტესობა პრესტიჟული პროფესიები. სერიოზული უცხოელი ინვესტორი, ვისაც სურს ინვესტიცია წარმოებაში ჩადოს, პირველ რიგში, სწორედ ეროვნული საკვალიფიკაციო სიით დაინტერესდება. მან უნდა იცოდეს, როგორია პროფესიული მომზადების დონე იმ ქვეყანაში, სადაც ინვესტიციის განხორციელებას აპირებს, მაგრამ ერთია საკვალიფიკაციო სია და მეორეა, თვითონ პროფესიული სტანდარტების დონე. პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირებისათვის, როგორც სოციალური პარტნიორისთვის, ძნელია ყველა პროფესიულ სტანდარტზე კვალიფიციური დასკვნის დაწერა. შენიშვნები წერილობით წარვადგინეთ იმ პროფესიულ სტანდარტებზე, რომელ პროფესიებშიც ჩვენი კომპეტენცია სწვდებოდა. სწორედ ამიტომ დაჟინებით მოვითხოვდით შექმნილიყო დარგობრივი კომისიები, სადაც შევიდოდნენ როგორც განათლების, ასევე დარგის ექსპერტები, იმ სფეროს წარმომადგენლები, რომლებმაც შემდგომში უნდა დაასაქმონ ეს სპეციალისტები. მხოლოდ ასე დაკომპლექტებული დარგობრივი კომისია იქნება უფლებამოსილი დადოს კომპეტენტური დასკვნა პროფესიული სტანდარტის შესახებ და იყოს პროფესიული სტანდარტის ხარისხზე პასუხისმგებელი. მით უმეტეს, რომ პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში შეტანილია დარგობრივი კომისიების შექმნის აუცილებლობა, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ვფიქრობ, დარგობრივი კომისიების შექმნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მოაწესრიგებდა ეროვნულ საკვალიფიკაციო სიას, გამორიცხავდა უხარისხო პროფესიულ სტანდარტებს, რაც პროფესიულ განათლებას ნამდვილად ჩააყენებდა დასაქმების სამსახურში. არასრულყოფილი პროფესიული სტანდარტის შემთხვევაში, ვერც პროგრამული და ვერც მოდულური სწავლება იქნება ხარისხიანი.

საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის ვიტყვი, რომ პროფესიული სტანდარტი არის ცოდნისა და უნარების კრებული, რომლის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, პირს მიენიჭოს კვალიფიკაცია. უფრო გასაგები რომ იყოს მოვიყვან მაგალითს: კალატოზის კვალიფიკაცია რომ მიენიჭოს პირს, მან უნდა იცოდეს და შეძლოს კედლის აშენება აგურით, ქვით და ბლოკით პროფესიული სტანდარტის მიხედვით (მას ჩამოთვლილზე მეტიც მოეთხოვება, მაგრამ მაგალითისათვის ამით დავკმაყოფილდეთ). პროგრამული სწავლების პირობებში საგანმანათლებლო ორგანიზაცია მოიპოვებს უფლებას ავტორიზაციის გზით განახორციელოს კალატოზის მომზადების პროგრამა, ანუ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს და შეეძლოს კედლის აშენება აგურითაც, ბლოკითაც და ქვითაც. თუ მან ისწავლა აგურითა და ბლოკით შენება და ვერ აითვისა ქვით შენება, ვერ მიიღებს კალატოზის კვალიფიკაციას, შესაბამისად, ვერ მიიღებს დიპლომს. ეს არის პროგრამული სწავლება. რა არის მოდულური სწავლება? როგორც წინა მაგალითში, აქაც შედეგი ერთი უნდა იყოს, კერძოდ, იმისათვის რომ პირმა მიიღოს კალატოზის კვალიფიკაცია, უნდა იცოდეს კედლის აშენება აგურით, ბლოკით და ქვით, იმ განსხვავებით, რომ საგანმანათლებლო ორგანიზაცია სასწავლო პროგრამას წარმართავს ისე, რომ ჯერ ასწავლოს ყველაზე ადვილად ასათვისებელი (ჩავთვალოთ, რომ ეს აგურით წყობაა), რომლის დაუფლების შემდეგ შეუძლია არ გააგრძელოს სწავლა, აიღოს სერტიფიკატი და მონახოს სამსახური ან გააგრძელოს სწავლა, აითვისოს ბლოკით და ქვით აშენება, მიიღოს კალატოზის კვალიფიკაცია და შესაბამისად დიპლომი, რაც ზრდის სამსახურის მოძებნის შანსს. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, პროფესიული განათლების პროფკავშირები არა თუ არ ვართ წინააღმდეგი მოდულური სწავლების, პირიქით, ვთვლით, რომ ის პროგრესულია და უფრო მოხერხებული როგორც სტუდენტებისთვის ასევე პედაგოგიური კოლექტივისა და დამსაქმებლებისთვისაც.

რატომ არის მოხერხებული სტუდენტისთვის? იმიტომ, რომ მას აქვს შესაძლებლობა სრულყოფილად შეისწავლოს მთლიანი პროგრამა და მიიღოს კვალიფიკაცია, რაც მეტ შანსს მისცემს დასასაქმებლად.

პედაგოგისთვის, სწავლების ეს ფორმა არის საშუალება უფრო ობიექტური იყოს სტუდენტის შეფასებაში. პროგრამული სწავლების პირობებში პედაგოგებს უჭირთ ობიექტურობის გამოჩენა. არადამაკმაყოფილებელი შეფასების დროს თვლიან, რომ მოუმზადებელი სტუდენტი მათი მუშაობის ხარვეზია. მოდულური სწავლის პირობებში კი სტუდენტი რამდენიმე მოდულს მაინც ისწავლის და იმ სერტიფიკატით მაინც წავა სასწავლებლიდან, რომლის შესწავლა შეძლო, ხოლო დამსაქმებელს კი შეუძლია აიყვანოს ის კურსდამთავრებული, რომელიც მას სჭირდება – სრული კვალიფიკაციით თუ ერთი რომელიმე მოდულით მომზადებული, რომელიც მისაღებია მისი წარმოებისათვის.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რაღას ვედავებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს? ერთი მიზეზის შესახებ უკვე ვთქვით – ეს არის არასრულყოფილი პროფესიული სტანდარტები. როგორც გითხარით, პროფესიული სტანდარტის მიხედვით იწერება მოდულური პროგრამა. თუ არასრულყოფილია პროფესიული სტანდარტი, მოდული პროგრამაც არასრულყოფილი იქნება. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ კალატოზის პროფესიული სტანდარტი სრულყოფილია მაშინ, თუ პირმა იცის და შეუძლია კედლის აშენება აგურით, ქვით და ბლოკით. თუ პროფესიულ სტანდარტში არ იქნება ბლოკით აშენების კომპეტენცია, მაშასადამე, მოდულური სწავლების პროგრამა მხოლოდ აგურითა და ქვით აშენების მოდულებზე დაიწერება, რაც არასრულყოფილ მოდულურ პროგრამას მოგვცემს.

მეორე, რაშიც ვერ ვთანხმდებით სსიპ განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრთან: ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროფესიული სტანდარტი მოდულებად ისე უნდა დაიყოს, რომლის ათვისების შემდეგ, თითოეული მათგანი მოთხოვნადი იყოს შრომის ბაზარზე. ჩვენი მაგალითის მიხედვით კალატოზის პროფესია შეიძლება დაიყოს აგურით წყობის მოდულად, ბლოკის წყობის მოდულად და ქვით წყობის მოდულად. რა თქმა უნდა, წინასწარ უნდა იყოს შესწავლილი შრომის ბაზარი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კი, ნაცვლად იმისა, რომ პირველ რიგში, შეექმნა დარგობრივი საბჭოები, რომლებიც სრულყოფდნენ როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო სიას, ასევე პროფესიულ სტანდარტებს შრომის ბაზრის მოთხოვნის საფუძველზე, პირდაპირ გადავიდა მოდულურ სწავლებაზე. ამას კიდევ არა უშავს, ეჭვი გვაქვს, რომ ისინი მოდულურ სწავლებას კი არა, მოდულებზე სწავლებას აპირებენ, რაც იმით დასტურდება, რომ საპილოტე სწავლება დაგეგმეს არა მოდულური სწავლების მიხედვით, არამედ ცალკეულ მოდულებზე, რაც სრულიად მიუღებელია, რადგან ცალკე აღებული მოდული, თუ ის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი არ არის, არაფრის მომცემია და უარყოფს პრინციპს – „პროფესიული მომზადება დასაქმებისათვის“. სამწუხაროდ, პროფესიების მოდულებად დაყოფის დროს, ნაცვლად ჩვენ მიერ შეთავაზებული პრინციპისა, რომ ისეთი მოდული შეგვექმნა, რომელიც კურსდამთავრებულს მისცემდა დასაქმების საშუალებას, დაყვეს პროფესიული სტანდარტების კომპეტენციების მიხედვით, კერძოდ, თუ ხის მხატვრულად დამუშავების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა, რომ იცნობდეს ხელით ჭრის იარაღებს, ცალკე მოდულად გამოყვეს და დაარქვეს ხელით საჭრელი იარაღები, ამისათვის 3 კრედიტი ანუ 75 საათი განისაზღვრა.

არა მგონია, ვინმეს სჭირდებოდეს ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, ვინც მხოლოდ ხელით საჭრელი იარაღები, ანუ მხოლოდ გეომეტრიული კვეთა იცის, არც ისეთი ტრაქტორის მემანქანე სჭირდებოდეს ვინმეს, ვინც მხოლოდ შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა იცის და არც გიდი, ვინც საქართველოსა და მსოფლიოს კულტურა და ხელოვნება 100 საათში შეისწავლა.

ეს ის მოდულებია, რომელთა პილოტირება ტარდებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით.

პრობლემა იმაშია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიაჩნია, რომ პროფესიული სტანდარტი შეიძლება დაიყოს კრედიტების მიხედვით მექანიკურად და ყველა დანაყოფს დაერქვას მოდული, თუმცა არც ესაა დანაშაული, თუ ამისათვის დამსაქმებელი არის მზად, ანუ სჭირდება ასეთი ვიწრო პროფესიის სპეციალისტი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო ვიწროა სპეციალიზაცია, უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ვიწრო სპეციალიზაცია მოთხოვნადია. ასეთი მიდგომა გამართლებულია იქ, სადაც კონვეირული წარმოებაა. საქართველოში კი კონვეირული წარმოება საერთოდ არ გვაქვს (თუ არ ჩავთვლით კვების მრეწველობას, სადაც კონვეირული წარმოება იმდენად ავტომატიზირებულია, რომ თითქმის გამორიცხავს ადამიანის ფიზიკურ შრომას).

როდესაც რეფორმა ხორციელდება არავინაა დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ ჩვენში სერიოზულ ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ მოდულების პილოტირება ტარდება არა მოდულურ სწავლებაზე, არამედ ცალკეულ მოდულებზე, რაც შესაძლოა იმის წინაპირობად იქცეს, რომ უახლოეს მომავალში მოდულურ სწავლებაზე კი არ გადავიდეთ, არამედ მოდულებზე სწავლაზე. რაც იმას ნიშნავს, რომ კოლეჯებში გამოცხადდება მოდულებზე სწავლის მსურველთა მიღება და არა საკვალიფიკაციო სპეციალობებზე. როდესაც ვამბობთ, მოდულური სწავლება პროგრესულიაო ჩვენთვის, როგორც სოციალური პარტნიორებისათვის, სრულიად მიუღებელია მოდულებზე სწავლა, რის პილოტირებასაც აპირებდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ცალკე აღებული მოდულზე სწავლა არავისათვის მისაღები არ უნდა იყოს, ვინაიდან ვერ დასაქმდება მსმენელი, დამსაქმებელი ვერ მიიღებს სპეციალისტს, მასწავლებლის დატვირთვა შემცირდება, დღეს თუ ერთნლიანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობს, პროგრამული სწავლების პირობებში, შრომითი ხელშეკრულება ათი თვით განისაზღვრება, ხოლო მოდულზე სწავლების პირობებში კი – მაქსიმუმ, თვენახევრიანი იქნება.

მაშ, ვის სჭირდება ასეთი რეფორმა. ბრძანების შეჩერების გამო ელექტრონულ მედიაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იმ ორ კვირაში უკვე ჰქონდათ საუკეთესო შედეგები. სავარაუდოდ, ისეთი დამსაქმებლებიც გამოჩნდებიან, რომლებიც იტყვიან, რომ სჭირდებათ მხოლოდ საჭრელი იარაღების მცოდნე; სასწავლო დაწესებულებებს საშუალება ექნებათ, მეტი სტუდენტი მიიღონ. თვენახევრიანი სწავლების დანახარჯი 5-ჯერ ნაკლები იქნება, შესაბამისად, თუ კოლეჯების სასწავლო-მატერიალური ბაზა საშუალებას აძლევდა, მოემზადებინათ 10000 კაცი, მოდულზე სწავლის პირობებში, 5-ჯერ მეტის მომზადების საშუალება იქნება. ამიტომ საპატაკოც მთავრობისადმი საკმაოდ შთამბეჭდავია – აი, ჩვენ ამ საბიუჯეტო სახსრებით 5-ჯერ მეტი სპეციალისტი მოვამზადეთ და დავასაქმეთო. შედეგი კი ისეთივე იქნება, რაც ამ რამდენიმე წლის წინ ყოფილმა მთავრობამ განახორციელა – მოკლევადიანი მომზადება დასაქმებისთვის, როდესაც ათასობით ლარი დაიხარჯა ბიუჯეტიდან, დასაქმებული კი არავინ დარჩა.

სასწრაფოდ უნდა გამკაცრდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლი ამ მიმართულებით. პირველ რიგში უნდა შეიცვალოს საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ პროგრამების განხორციელების წესი, კერძოდ, პროგრამების დაგეგმვა მხოლოდ დამსაქმებლების მოთხოვნის საფუძველზე უნდა მოხდეს და არა პრესტიჟული პროფესიების მიხედვით, არამედ დამსაქმებელმა უნდა დაასაბუთოს მოთხოვნა, მხოლოდ ეს იქნება, მოთხოვნილი სპეციალისტების დასაქმების გარანტია და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯები გამოირიცხება.

არასწორად ჩატარებული პილოტირება დააზარალებს, პირველ რიგში, პროგრესულ მეთოდს, რასაც მოდულური სწავლება ჰქვია და გადასწევს აღნიშნულ რეფორმას რამდენიმე წლით, იმ დრომდე, სანამ გაირკვევა რატომ არ იმუშავა ამ პროგრესულმა მეთოდმა, დააზარალებს კოლეჯებს, ისინი დაკარგავენ კვალიფიციურ პედაგოგებს, ყველა შეეცდება მონახოს სხვა სამსახური, რადგან თვენახევრიანი სამსახური არასტაბილურიცაა და კოლეჯებიც დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა წინაშე ავტორიტეტს დაკარგავენ; უშედეგო იქნება გახარჯული საბიუჯეტო სახსრები და მრავალი ადამიანის ენერგია.

აი, რატომ მოვითხოვეთ ზემოთ აღნიშნული ბრძანების შეჩერება.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი
პროფესიული განათლების მუშაკთა თავმჯდომარის მოადგილე, პროფგანათლების ექსპერტი

ინფორმაცია

სარკინიგზო-ტექნიკური სასწავლებელი დაფუძნდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, საქართველოს რკინიგზის ფინანსურმა დირექტორმა **ირაკლი ტიტვინიძემ** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა **არჩილ ფრანგიშვილმა** ხელი მოაწერეს მემორანდუმს სარკინიგზო-ტექნიკური პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების თაობაზე.

მემორანდუმის თანახმად, საქართველოს რკინიგზა პროექტში ჩართული იქნება მთელი თავისი ინფრასტრუქტურითა და ლაბორატორიული ბაზით, სადაც სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან. ხელშეკრულების მიხედვით, რკინიგზა ასევე წარმოდგენილი იქნება, როგორც კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი. პროფესიულ სასწავლებელში ტექნიკური უნივერსიტეტი, თავისი კადრებით, სასწავლო პროცესს განახორციელებს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასწავლებელს პროგრამებით უზრუნველყოფს.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„გარდა იმისა, რომ ეს ურთიერთობა მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, რეალურად ყალიბდება ის ახალი ინსტიტუცია და ახალი მენეჯმენტი, რომლის ფარგლებშიც უნდა განვახორციელოთ დუალური სისტემის კონცეფცია, რომელიც ძალიან წარმატებით მუშაობს გერმანიაში – ეს არის დამსაქმებლის ჩართულობა, საწარმოო პრაქტიკა და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ჩართულობა. ვფიქრობ, ასეთი მიდგომითა და პარტნიორობით ზუსტად იმ მოდელს დავნერგავთ, რომელიც მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე, რაც დღესდღეობით ნამდვილად პრობლემურია.“*

ახალი პროფესიული სასწავლებელი თბილისში დაარსდება და ევროპული სტანდარტების იქნება, შესაბამისი სასწავლო პროგრამებით, ინფრასტრუქტურითა და სრულიად ახალი მენეჯმენტით. სასწავლებელში ე.წ. დუალური განათლების პროგრამები ამოქმედდება, რაც წარმატებით მუშაობს გერმანიაში და ითვალისწინებს როგორც სახელმწიფოს, ისე დამსაქმებლის ჩართულობას პროცესში, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას და სხვ.

არჩილ ფრანგიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: *„ჩვენ შორის გაფორმებული მემორანდუმი საშუალებას მოგვცემს, ერთობლივად შევქმნათ ახალი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, სადაც ევროსტანდარტებზე დაფუძნებული ახალი ტიპის – დუალური – პროგრამები განხორციელდება. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს რკინიგზა მთლიანად იქნება ჩართული ამ პროცესებში არა მხოლოდ როგორც პოტენციური დამსაქმებელი, არამედ მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, როგორც სერიოზული ლაბორატორიული ბაზა ახალი კოლეჯისთვის. სასწავლო პროცესს ჩვენივე კადრებით განვახორციელებთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი სასწავლო პროგრამებით დაგვეხმარება.“*

ირაკლი ტიტვინიძე, „საქართველოს რკინიგზის“ ფინანსური დირექტორი: *„უაღრესად მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი, რაც საშუალებას მოგვცემს, გავზარდოთ გაცილებით უკეთესი სპეციალისტები. მოგეხსენებათ, როგორი სისწრაფით ვითარდება ტექნოლოგიები – ყოველდღიურად და ყოველწლიურად. აღნიშნული სქემით სწორედ ახალი ტექნოლოგიების შესაბამის თანამშრომლებს გავზრდით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, გაზრდიან რკინიგზის ეფექტურობას როგორც ტექნიკური კუთხით, ისე ტვირთების გადაზიდვისა თუ ელექტრო მოხმარების ეფექტურობის მიმართულებით. ამდენად, როგორც აღვნიშნე, ამ მემორანდუმით ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი.“*

საქართველოში პირველად, თბილისში, ევროპული სტანდარტების სარკინიგზო-ტექნიკური სასწავლებელი დაფუძნდება და სტუდენტებს საშუალება ექნებათ ინფრასტრუქტურითა და ლაბორატორიებით უზრუნველყოფილ სასწავლებელში გაიარონ პრაქტიკა და, რაც მთავარია, დასაქმდნენ.

მწვავე თემა

გადავარჩინოთ ხაიში ჩაძირვას

ჩვენ ირგვლივ, წარმატებებთან ერთად, ნაკლიც ბევრია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მათი გამოსწორება ჩვენს ძალებს აღემატება. ამიტომ ავირჩიეთ საკითხი, რომლის მეშვეობითაც საქმის წინ წაწევა შეიძლება – ზრუნვა გარემოზე, ეკოლოგიური საკითხებით ახალგაზრდების დაინტერესება, ისტორიული ადგილების შესწავლა, სტრატეგიული ადგილის მნიშვნელობის ახალგაზრდების გაგებამდე დაყვანა, რაც საბოლოო ჯამში ადამიანის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება. ჩემ მიერ დაგეგმილი დაშქრობა-გაკვეთილის მიზანიც ეს იყო. ლაშქრობისას ბავშვებს 555 წელს აჯანყებული სვანების მიერ ბიზანტიის იმპერიის ერთი გარნიზონის გაწყვეტის ადგილს ვაჩვენებ და ვუყვები, ზუსტად იმავე ადგილზე აჯანყებულმა სვანებმა როგორ გაანადგურეს 1921 წელს საქართველოს დამპყრობი წითელი არმიის ერთი ასეული. იმავე ადგილას, 1941-1945 წლების გერმანიის წინააღმდეგ ომში, როგორ მზადდებოდა გერმანელთა სამარე იმ შემთხვევისათვის, თუ კავკასიონის ქედის უღელტეხილზე ამოსულები სვანეთში ნენსკრის სათავიდან დაეშვებოდნენ. ზუსტად იმავე ადგილზე, ახლა უკვე მეოთხედ, 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის დროს, დადგნენ რუსული ტანკები. დასავლეთ საქართველოს ცადაზიდულ მწვერვალებს შორის მდებარე ეს პატარა სოფლები – ხაიშ-ტობარი – რამდენჯერ გამხდარა შორეული უცხო ძალების დაპირისპირების ადგილი. ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს ვრცელი ინფორმაციის მიღება ამ სტრიქონების ავტორისგან შეუძლიათ. ჩემი აზრით, ხაიშტობარი აუცილებლად უნდა გადაურჩეს ჩაძირვას, რაც გარემოს დაცვის აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

ამჟამად ხაიშ-ტობარ-საგერგილის თავზე კვლავ გამოჩნდნენ სასტიკი და დაუნდობელი, საავდროდ გამზადებული ღრუბლები, ანუ „ხუდონჰესის“ მშენებლობა, რომელიც მოსახლეობას გადასახლებით, ტერიტორიის ჩაძირვით და ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული პუნქტის გაუქმებით ემუქრება. ლაშქრობა-გაკვეთილზე უფროსკლასელებს დეტალურად გავაცნობ ადგილებს, რომლებიც, ჰესის აშენების შემთხვევაში, წყლით დაიფარება. ეს ის ადგილებია, სადაც მათ ბავშვობა გაატარეს და მომავალში რომელიმე მათგანს ნოსტალგია თუ მოეძალა, საცხოვრებლად მშობლიურ კუთხეს ვერ დაუბრუნდება. ჩვენ ხომ სკოლის მერხიდან მოგვყვება ალექსანდრე ყაზბეგის ხევისბერი გოჩას სიტყვები: „შვილო, იმ ადგილს გედავებიან, რომელიც შენი მამა-პაპათა ძვლებით არის გაპოხიერებული, მიწა მათი სისხლით ქვესკნელამდე გაჟღენთილი, არ დაანებო!!!“

სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე „ხუდონჰესი“ უნდა აშენდეს, სოფელ ხაიშის მოსახლეობა უნდა ავყაროთ, ტერიტორია ჩავძიროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დაიღუპება, დარჩება ენერგეტიკის განვითარების გარეშე – გვარწმუნებენ ენერგეტიკის სამინისტროს მესვეურები, მაგრამ ეს მცდარი აზრია, რადგან ჰესის აშენების ალტერნატიული ვარიანტიც არსებობს და სოფელ ხაიშის გადარჩენის გზაც, თუ მაინცდამაინც სოფლის ჩაძირვას არ ამოვიჩემებთ.

რომელ გარემოს დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნის სამარხებს, დღემდე მოქმედ სასაფლაოს ჩაძირვა ემუქრება, შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესიას – დემონტაჟი, სოფელს – აყრა და გადასახლება, ტერიტორიას – წყლის ქვეშ მოქცევა. ეს ხომ საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაა?!...

ხაიშის მიმდებარე ტერიტორიაზე 9 მიკროჰესის აშენების შესაძლებლობაა, რაც დასახლებულ პუნქტებს არ დააზარალებს, პირიქით, სარგებლობას მოუტანს მხარეს.

ამ ტიპის გაკვეთილის ჩატარება საჭიროდ მიმაჩნია არა მარტო ჩემი სკოლის, არამედ სვანეთის ყველა სკოლის მოსწავლეებისათვის და საქართველოს იმ სკოლების მოსწავლეებისათვისაც, ვისაც ეკონომიკური თუ ფიზიკური მდგომარეობა ხაიშში ჩამოსვლის საშუალებას მისცემს. ზემოთ აღნიშნულ ადგილზე ჩასვლის მიზანი მხოლოდ ერთია: მოსწავლე ახალგაზრდობა ადრეული ასაკიდან მივაჩვიოთ ქართული მიწის ყოველი მტკაველის გადარჩენისათვის ბრძოლას.

ამრიგად, ხაიშის საჯარო სკოლის პედკოლექტივი, მოსწავლე ახალგაზრდობა, სოფლის მოსახლეობასთან ერთად, გარემოს დაცვაზე ზრუნვას იწყებს სოფელ ხაიშის აყრა-გადასახლების წინააღმდეგ ბრძოლით და მოუწოდებს სრულიად საქართველოს, მხარი დაუჭირონ ხაიშის და სვანეთის გადარჩენის საკითხს, რადგან სვანეთის გადარჩენა საქართველოს გადარჩენაა.

ხუდონჰესი არ უნდა აშენდეს, იმიტომ რომ:

❖ ადამიანთა უფლებები არის სასტიკად დარღვეული და დამახინჯებული. ჩვენს ქვეყანას თავის სახლკარს მოწყვეტილი, იძულებით გადაადგილებული, ნახევარმილიონი ადამიანი ჰყავს. ჩვენც გვთავაზობენ, ფული აიღეთ და წაბრძანდით სადაც გენებოთო;

❖ გვთავაზობენ იმ ადგილიდან აყრას, სადაც ადამიანს, ჩვენს წინაპარს, ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში უცხოვრია. ასეთ ადგილებს ევროპაში სწავლობენ სოციოლოგები, ეკონომ-გეოგრაფები, ისტორიკოსები და ზრუნავენ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე და არა აყრაზე და ტერიტორიის ჩაძირვაზე;

❖ მსოფლიო უარს ამბობს მაღალი კაშხლების მშენებლობაზე. ჩვენი ენერგეტიკის სამინისტრომ კი თავი გამოიდო, რომ ხაიშის შესასვლელში ააშენოს გიგანტი ჰიდროელექტროსადგური, რაც ყოვლად დაუშვებელია იმიტომ, რომ ხუდონჰესის წყალსაცავის წყალი დაფარავს ისეთ და იმდენ ტერიტორიას, რასაც შეიძლება მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნოს. ამ ადგილას თავს იყრის 8 მდინარის აუზი, მისი კუთვნილი ტერიტორია, ზღვის დონიდან 700მ, ვიდრე ალპური საძოვრებით დამთავრებული;

❖ ხუდონჰესი რომ აშენდება, განმტკიცდება ქვეყნის ენერგეტიკა, გაიზრდება ეკონომიკა, მაგრამ გამოუსწორებელი ზიანი მიადგება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სვანურ ენას, კულტურას, სვანურ კანონმდებლობას, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება, ქვეყნის სტრატეგიას, როგორც სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მდებარე რეგიონის;

❖ წყლის ქვეშ ხვდება ან მოსახლეობის აყრის შედეგად უქმდება სახნავი ტერიტორიები, მაღალი მთის სათიბ-საძოვრები (22600 ჰექტარზე მეტი), მდელოები, რომლებიც შეიძლება საძოვრებად იქნეს გამოყენებული (2239 ჰექტარი). გარდა ამისა აქ არის ტყეები და უნიკალური ეკოსისტემა, გარემოს უნიკალური აღმდგენი და გამაჯანსაღებელი ფუნქცია. ტურისტული თვალსაზრისით, ეს მხარე ძლიერ საინტერესოა;

❖ კვადრატულ ჭრილში ხუდონჰესი რამდენჯერმე აღემატება მის წინამორბედ ენგურჰესს, რომელიც თითქმის დაუსახლებელ და ვიწრო ხეობაშია აშენებული. ხაიში და მისი შემოგარენი წყალქვეშ არ უნდა მოექცეს, არ უნდა გადავასახლოთ ხალხი, არ უნდა განადგურდეს მხარე, რომლის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, სტრატეგიული მნიშვნელობა განუზომლად დიდია ქვეყნისთვის. ამ მხრივ, მას მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური „იტაიპუ“ (სამხრეთ ამერიკაში) ვერ შეედრება, ვერც რუსეთის ჰიდროელექტროსადგური „ბრატსკი“ ანგარაზე, რომელიც მსოფლიოს 10 უძლიერეს ჰიდროელექტროსადგურს შორისაა. მათი აშენებისას არათუ 24-საუკუნოვანი სოფელი, 10-10 ოჯახიც კი არ გადაუსახლებიათ.

❖ ხუდონჰესს ენგურზე კიდევ ოთხი მაღლივი კაშხალი მოჰყვება და კიდევ 10 შედარებით მცირე ჰესი, რაც გამოიწვევს სვანეთის დაცლას, სვანური ენის, სვანური კანონმდებლობისა და წეს-ჩვეულებათა გაქრობას;

❖ წყლის ქვეშ არ უნდა მოექცეს 2000-წლიანი სასაფლაო და ხაიშის წმიდა გიორგის სახელობის შუასაუკუნეების ეკლესია;

❖ ხუდონჰესი არ უნდა აშენდეს იმიტომ რომ ხაიში და მისი შემოგარენი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. განსაკუთრებით ალპური საზაფხულო საძოვრების გამოულეველი მარაგით, ასევე სათიბების გამოულეველი მარაგით, გზების მოყვანის შემთხვევაში. ალპურ სათიბ-საძოვრებამდე გზების მიყვანა არა მარტო მეცხოველეობის განვითარების საშუალებას იძლევა, არამედ მეფუტკრეობის ღალიანობას მკვეთრად ზრდას;

❖ ხაიში და მისი შემოგარენი მდიდარზე მდიდარია უნიკალური სასმელი წყლის მარაგით, რომლის ათვისების და სწორად დაგეგმილი რეალიზაციის შემთხვევაში, ლამის ნავთობის მარაგს და ღირებულებას გაუტოლდება თავისი მნიშვნელობით.

ხუდონჰესი არ უნდა აშენდეს!

აკაკი ზუმაძე
მესტიის რაიონის ხაიშის საჯარო სკოლა

„ყველამ დავიცვათ ჩვენი წილი საქართველო!“ – კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის მოწოდება

ქართული როგორც მეორე ენა

ქართული სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე

2014 წლის მიწურული სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე მასწავლებლებს მეტად საინტერესო და შრომატევადი გვქონდა – რამდენიმე ტრენინგი, თითქმის პარალელურ რეჟიმში, ბოლო 6-7 შაბათ-კვირის ხარჯზე, ახალქალაქი-ახალციხის მარშრუტის ზედმიწევნით შესწავლა და ჩემი კოლეგების, რომელთა გვერდით უკვე მეოთხე წელია ვემსახურები დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს, ახლოს გაცნობა და ამით გაოცება და გამდიდრება! ჩემს კოლეგებზე მოგვიანებით დავწერ, დღეს სხვა რამ მინდა მოგითხროთ.

პირადად მე ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას საერთოდ არ ვიცნობ, რადგან არ მქონია მასთან შეხებ, ამიტომ მხოლოდ ზედაპირული, ზოგჯერ მცდარი და არასწორი წარმოდგენა მაქვს საქართველოში ასე მრავლად არსებულ უმაღლეს სასწავლებლებზე, განსაკუთრებით, რეგიონულ უმაღლეს სასწავლებლებზე. და რა ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ, რა სიმდიდრეა ამ ტიპის უმაღლესი სასწავლებლები. მოკლედ, დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე მინდა გესაუბროთ, უფრო ზუსტად კი, მის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ კონკრეტულ ღონისძიებაზე, ქალაქზე და ამ ქალაქის მაცხოვრებლებზე.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში მომუშავე ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლების უმრავლესობა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან. ისინი დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ თავიანთი სტუდენტობის წლებს (90-იანი წლები), ამიტომ ძალიან მინდოდა ამ უნივერსიტეტის გაცნობა და 2014 წლის ბოლოს მომეცა ამის საშუალება.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის – „ტემპუსის“ ფარგლებში ორგანიზებული ბილინგვური სწავლების ტრენინგი სწორედ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვიტარდებოდა. 26-27 დეკემბერს კი უნივერსიტეტმა ჩაატარა ძალიან სერიოზული და წარმომადგენლობითი, პროფესორთა და მასწავლებელთა რეს-პუბლიკური კონფერენცია თემაზე – „განათლების თანამედროვე პრობლემები და პერსპექტივები“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ფონდის ხელშეწყობით ჩატარდა.

ამ კონფერენციაში მონაწილეთა გეოგრაფიული არეალი მეტად საგულისხმო იყო – ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, მარნეული, დედოფლისწყარო, ბორჯომი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ადიგენი, ახალციხე. ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლების უმრავლესობა სწორედ ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობით დასახლებული რეგიონებიდან იყვნენ და, ალბათ, სწორედ ამიტომ მომხსენებელთა უმრავლესობა სახელმწიფო პროგრამების – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ასწავლე საქართველოსთვის“ – მონაწილეები იყვნენ.

69 მომხსენებელი 6 სექციაში იყო გადანაწილებული: 2 სექცია მუშაობდა თემაზე – „განათლება, როგორც აღზრდის მეცნიერება“; 3 სექცია – საგნის სწავლების მეთოდიკაზე; ერთი სექცია ბილინგვური განათლების საკითხებს დაეთმო.

სექციურ მუშაობამდე იყო პლენარული სხდომა, რომელსაც რეგიონისა და რაიონის მესვეურთა გარდა ესწრებოდნენ: **მეუფე თეოდორე** – ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი; **თამაზ მარსაგიშვილი** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; საქართველოს პარლამენტის წევრი **ზაქარია ქუცნაშვილი**; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი** და სხვები. შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**. ოფიციალური მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიმართა ცოცხალი, არაპროტოკოლური დიალოგი მასწავლებლებსა და მოწვეულ სტუმრებს შორის, რომელიც გასცდა სასწავლო პროცესში არსებულ პრობლემებს თუ მიღწევებს, ისაუბრეს რეგიონებში არსებულ პრობლემებზე – საბავშვო ბაღების არქონა და უფუნქციო საავადმყოფოები; ქართული სატელევიზიო არხების სუსტი სიგნალები, რის გამოც ეს დასახლებული პუნქტები, თითქმის მთლიანად მოწყვეტილი არიან სახელმწიფოს საინფორმაციო სივრცეს; ამ რეგიონებში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების პატრონობის და მიტოვებული ქართული სოფლების აღდგენის აუცილებლობა და მრავალი სხვ. ძალიან ემოციური და გულწრფელი გამოსვლები ჩაენაცვლა ოფიციალურ მოხსენებებს, მაგრამ ეს არავის გაუპროტესტებია, პირიქით! რადგან ამ დარბაზში ერთად იყო შეკრებილი ის ხალხი, რომელთაც ნამდვილად შესტკივა გული იმაზე, რაზეც საუბრობენ და არა მხოლოდ საუბრობენ, არამედ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილებისა, რეალურად გრძნობდეს თავს ამ სახელმწიფოს სრულუფლებიან წევრად, ამიტომ მათ სიტყვებს გაცილებით დიდი წონა და ძალა ჰქონდა, ვიდრე გვერდიდან მაყურებელი მოვიშვიშე ჩვენი თანამოქალაქეებისას.

სექციებში მუშაობა მეტად ნაყოფიერი და საინტერესო იყო, რაც, განსაკუთრებით, მეორე დღეს ჩატარებულ შემაჯამებელ შეხვედრაზე გამოჩნდა. როცა სექციის ხელმძღვანელებმა სექციის მუშაობის რეზიუმე წარმოადგინეს, კონფერენციის ყველა მონაწილეს უკმარისობის გრძნობა გაუჩნდა იმის გამო, რომ თავად ვერ მოისმინა სხვა სექციებში მონაწილე კოლეგების მოხსენებები, ამიტომ გადაწყდა, რომ შეიქმნებოდა ერთიანი ციფრული ბაზა, სადაც ყველა მოხსენება და მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი რესურსი ხელმისაწვდომი იქნებოდა კონფერენციის ყველა მონაწილისთვის და არა მხოლოდ.

შემაჯამებელი სხდომის შემდეგ უნივერსიტეტმა დასამახსოვრებელი საჩუქარი გაგვიკეთა კონფერენციის მონაწილეებს – დაუვიწყარი ექსკურსია ახალციხის ციხეზე. ორი დღის განმავლობაში, როცა თავისუფალი დრო მქონდა, დავდიოდი ამ უძველესი ქალაქის ქუჩებში, ჩემს ახალციხელ მეგობარ კოლეგებთან ერთად, ვისმენდი მათ მონათხრობს თავიანთ სტუდენტობასა და მათ მშობლიურ ქალაქზე. ამ დროს მივხვდი, დავინახე, ვიგრძენი, რომ ახალციხე ალბათ ყველაზე ტოლერანტული ქალაქია მთელ საქართველოში, რადგან აქ ერთნაირი სიხშირით გვესმის როგორც ქართული, ისე სომხური. ზუსტად იცი, რომ ამ ქალაქის აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცის ორივე ენა. ენის ცოდნა რომ უმთავრესია სხვა ერის მენტალობისა და მსოფლმხედველობის აღსაქმელად, ამას კარგა ხანია მტკიცება არ სჭირდება... მაგრამ შემეშალა!!! ახალციხეში არ არსებობს გარჩევა ეროვნების მიხედვით – სწორედაც რომ აქ ყალიბდება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე **საქართველოს მოქალაქე** რომელიც არ განასხვავებს ეროვნებასა და ეთნიკურ წარმომავლობას. ახალციხეში ვნახე ახალგაზრდების შერეული ჯგუფები, სადაც ქართველები სომხურად ლაპარაკობდნენ, ხოლო სომხები – ქართულად, ვიყავი სასიამოვნოდ გაოცებული და გახარებული. ვიგრძენი, რომ საქართველოს მომავალი, ტოლერანტობა და მიმღეობა იწყება და ყალიბდება აქ, ახალციხეში და ამის საფუძველი, ძირი და ძირი, გარანტი და ლოკომოტივი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტია, რომელმაც ისეთი ძლიერი და საქმისადმი ერთგული პროფესიონალები აღზარდა და დააყენა ქართული სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე, როგორებიც არიან ჩემი მეგობარი კოლეგები: **იამზე მსხვილიძე**, **ნინელი გოგოლაძე**, **რუსუდან ბარამიძე**, **ცაულინა მალაზონია**, **ქეთი ნასყიდაშვილი**, **ნატო კაპანაძე**, **ნანა მელიქიძე**, **მაკა ანთაძე** და სხვ.

მათი სიყვარული საკუთარი უნივერსიტეტისადმი მეც გადმომედო და ამიტომ, კიდევ ერთხელ, უკვე გაზეთის ფურცლებიდან, მინდა გამოვხატო ჩემი პატივისცემა იმ საშვილიშვილო საქმისთვის, რასაც ისინი წლების განმავლობაში აკეთებენ, ვუთხრა დიდი მადლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **მერაბ ბერიძეს**, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ **მაკა ბერიძეს**, პროფესორ **ირმა ქურდაძეს**, პროფესორ **ლალი ბერიძეს** და ამ უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა თანამშრომელს.

ქედს ვიხრი თქვენი ღვაწლის წინაშე იმისთვის, რაც აქამდე გაგიკეთებიათ და იმისთვისაც, რასაც მომავალში გააკეთებთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე.

ინგა ბაგრატიონი

მოსწავლე უემოქმედი

სინათლე ჩვენ მარჯვნივ...

ნატო აბესაძე
XII კლასი
მასწავლებელი – ნინო კორტი
ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურას საჯარო სკოლა

თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენ გარშემო ყველა სინათლე ქრება, როცა გრძნობთ მხოლოდ ტკივილს და შეურაცხყოფას?

მე კი გეტყვით, რომ ერთი წუთითაც არ ხართ მარტო, რადგან თქვენ მარჯვენა მხარზე სინათლეა.

მე მოგიყვებით, რა მოხდა საქართველოში 469 წელს, იანვრის მკრთალ, უმზეო დილას...

ფანტელები ყვავილებივით ცვიოდნენ, თავგანწირულად ფარავდნენ მიწის სიშავეს. ქვემო ქართლის დედოფალი სასახლის პალატებში მოდიოდა...

სარკეში დალანდა საკუთარი თეთრი სამოსელი და წინა დღის სევდისაგან ჩაღრმავებული თვალები.

და თუმცა ვეღარ გრძნობდა შიმშილს საერთოდ, მაინც გაჰყვა ჯოჯიკს და მის ცოლს, თავდახრილები რომ შეეგებნენ მას.

სუსტად ელავდნენ სანთლები და სამი ვაჟი და ერთი გოგონა, კარს მიყრდნობილები, გასუსულები უცქერდნენ უცნაურ საოჯახო ვახშამს, ხედავდნენ მამის დაძაბულ სახეს, დედის უძრავ, სუსტ მხრებს...

და სიჩუმე ჭიქის მსხვრევის ხმამ მაშინ დაარღვია, როცა წამი საუკუნედ იქცა...

ბავშვებს თვალწინ გაურბინა ბიცოლის ალეწილმა სახემ.

მამის მჭრელ მზერაში კი შეკრთომაც იყო და განრისხებაც...

ბავშვებმა ისიც დაინახეს, როგორ ჩაავლო მამამ დედას სპილენძისფერ თმებში ხელი...

თოვა ისე მოულოდნელად შეწყდა, თითქოს ფანტელებს მობეზრდათო მიწის აურაცხელი ნაკლის დაფარვა.

ბავშვებმა უმწეო დედაც დაინახეს, ცივ სვეტთან რომ ჩაკეცილიყო, ლამაზი, თმაგაშლილი, გულზე მიკრული სახარებით.

დედის გაბზარულ ხატზე საზარი კი ქართლის პიტიახშის აზრწარეცხილი სახე იყო.

დედოფალს კი, რომელიც საკუთარი ხელით გადაწერილ სახარებას ჩაჰკვროდა, იესო ქრისტეს სიტყვები ახსენდებოდა – „შენ თუ გდევნიან და გჩაგრავენ, გაიხსენე, რომ შენზე ადრე მე დამჩაგრეს და გამანადგურეს“ და თუმცა ბოღმას ძალიან უნდოდა გულში შეღწევა, იქ ღმერთი იყო დავანებული და დედოფალსაც უცებ სრულებით გადაავიწყდა საკუთარი თავი.

იგი ახლა საკუთარ მეუღლეზე ფიქრობდა და მის ფიქრებში არ იყო არც ერთი წვეთი სიძულვილისა...

და მის სხეულში მძაფრად შემოდიოდა სიბრალული.

თვალი მოავლო შვილებს, უცებ გოგონა გულში ჩაიკრა და წასჩურჩულა:

„ანუშვრამ, ახლა ადექი და ყველას შეეხვეწე, რომ მამაშენისთვის ილოცონ... ის დაკარგული ბატკანია და ღმერთი ეძებს მას, ღმერთს გული სწყდება და გახსოვდეს: ღმერთს ძალიან უყვარს ის და უნდა, რომ დაუბრუნდეს.“

ცხენი გამალებით მიჰქროდა.

სუსხიანი ქარი კანს უკაწრავდა ვარსქენს.

მოეჩვენა, რომ კუბასტი, რომელიც თავზე ჰქონდა მოხვეული, დიდ, მწვანე ეკლებს ისხამდა...

სინანული, სირცხვილი და ბრაზი ერთმანეთში არეულიყო.

მაინც რა ერქვა იმ მტანჯველ გრძნობას, სუნთქვას რომ უძნელებდა?

ვერ ხვდებოდა, რომ ეს სინდისი იყო, დანაშაულს რომ აყვედრიდა...

მარჯვენა მხარზე დაფრენილი ანგელოზი იყო, მასთან ყოფნა ასე რომ ეძნელებოდა...

უფლის ხმა იყო, რომელიც მაინც არ ტოვებდა, დაცემულს დაჰყურებდა და გულით სწადდა მისი ფეხზე დაყენება...

ვარსქენი სანადიროდ მიდიოდა.

სასახლის ეზოში ისევ გამალებით ბარდნიდა.

სამი ბიჭი სარკმელთან იდგა და მათი უხმოდ მოკუმული ტუჩები მეტყველებდნენ, რომ არასოდეს მოიქცეოდნენ ისე, როგორც მათი მამა მოიქცა...

და უხაროდა იესოს, რადგან მან იმ დღეს სამი წმინდა სული შეიძინა.

თქვენ კი ისევ ფიქრობთ, რომ მარტო ხართ თქვენს ტკივილებთან და არავინ გიდგათ მხარში, დამცირებას რომ ებრძოლოთ?

ერთხელ იესო ქრისტესთან უსასოონი მივიდნენ, მან კი ასე დამოძღვრა ისინი:

„განა ორი ბეღურა ერთ ასარად არ იყიდება?

და არცერთს არ შეუძლია მიწაზე დაფრენა თქვენი მამის ნების გარეშე.

ხოლო თქვენს თავზე თმებიც კი დათვლილია...

ნუ გეშინიათ. ბევრ ბეღურაზე უკეთესნი ხართ.“

სასკოლო აქტივობა

„თამარიონი“ – 2014

რამდენიმე წელია, კერძო სკოლა „თამარიონის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა აწყობს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ინტერესის გაღვივებას: „ქიმია არს ხელოვნება“; კონკურსი „ოქრო თუ ვერცხლი“; პროექტი „ეკო“; „ყველაფერი გენიალური მარტივია“. ეს არასრული ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნის მისაღწევად ჩატარდა სკოლაში.

გარდა ამისა, კათედრა ყოველწლიურად ატარებს ინტელექტუალურ თამაშს „რა? სად? როდის?“. ეს ინიციატივა მოსწავლეებმა დიდი სიამოვნებით აიტაცეს და სწორედ ამიტომ, ყოველ შემოდგომაზე, იწყება ციებ-ცხელება: გუნდების განახლება, ემბლემების შექმნა, კენჭისყრა, კაპიტნების არჩევა და ა.შ. მოსწავლეები მსჯელობენ, კამათობენ და მღელვარებით ელოდებიან სეზონის გახსნას. ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ საპროგრამო მასალის ცოდნით. ახალ-ახალი ინფორმაციის მისაღებად სხვადასხვა წყაროს მიმართავენ, ენციკლოპედიებით დაწყებული და კომპიუტერით დამთავრებული. მიზანი ერთია – ფორტუნამ მათ გუნდს საპატიო კვარცხლბეკზე „მჯდომი ბუ“ არგუნოს.

2014 წლის საუკეთესო მოაზროვნისა და მაგისტრის საპატიო წოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოაზროვნეთა გუნდები: „ედელვაისი“ (**თორნიკე ყაფლანიშვილი** – კაპიტანი, **ნინო კუბლაშვილი, თათა ავალიანი, ბესო მეკინულოვი, ანა ბარბაქაძე, ვოვა ციცქიშვილი, რატი კობახიძე**); „ინკები“ (**ნინო რურუა** – კაპიტანი, **თაკო ზაქაიძე, საბა სანთაბულო, ნოე ქალიაშვილი, გვანცა გონგაძე, თეონა ავსაჯანიშვილი, თამარ ავალიანი**); „ლოტოსი“ (**ავთო ქისიშვილი** – კაპიტანი, **გიორგი ავალიანი, სოფო მახნიაშვილი, მარიამ გოგალაძე, აჩი ფუხაშვილი, დიტო კოხრეიძე, მიხეილ მარგოშვილი, ლევან მოდებაძე**); „ვიქტორია“ (**ანნა ჯაყელი** – კაპიტანი, **გურამ აბულაშვილი, გიორგი ქევანაშვილი, მარიამ ალფაიძე, ნიკა ჭელიძე, ელენე ჩიტაია, ქეთევან ნადირაშვილი**); „კონკისტადორები“ (**შაკო აბულაძე** – კაპიტანი, **მარიამ აფრასიძე, შაკო ჭალიძე, რუსუდან აფრასიძე, გიორგი ტარზიანი, თორნიკე ჩოგოვაძე, ირაკლი ფირცხალავა**).

ინტელექტუალებისათვის კითხვები შეადგინეს პედაგოგებმა: **ნონა კაპანაძემ, ლია მამადაშვილმა, ნინო მოლაშხიამ, თამუნა ტურაშვილმა, მაია ძმანაშვილმა, ნინო ხუდიაშვილმა, ირინა გობეჯიშვილმა**; კურსდამთავრებულებმა: **მართა გიუნაშვილმა** და **ანა მჭედლიძემ**; მოსწავლეებმა: **ნიკა ჭელიძემ** და **ლუკა ფერაძემ**.

22 დეკემბერს, წლის ყველაზე მოკლე დღეს, „თამარიონში“ ღამის ბრძენმა ფრინველმა კიდევ ერთხელ გაშალა ფრთები და მოსწავლეები, პედაგოგები, სტუმრები საინტერესო და ამაღელვებელ სანახაობაზე მოიწვია.

სეზონის ფინალურ ინტელექტუალურ შერკინებაში გარდამავალი პრიზის მოპოვებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ნინო რურუასა და თორნიკე ყაფლანიშვილის შვიდეულები. ფინალურ ტურს საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა საქართველოს ინტელექტუალთა კლუბის „რა? სად? როდის?“ წევრი **ნათია ქვაჩაკიძის** ექვსეულის წარმომადგენელი **ნინო გოგინაშვილი,** რამაც თამაში უფრო საინტერესო და საპასუხისმგებლო გახადა თითოეული მონაწილისათვის.

სეზონის დასკვნით, ფინალურ ტურს ამშვენებდნენ წამყვანები, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული, 2013 წლის მაგისტრი **გივი ნეფარიძე** და X კლასის მოსწავლე **მარიამ გოგალაძე**, რომლებიც რაუნდებს შორის მოაზროვნეებთან და დარბაზში მყოფ საზოგადოებასთან ერთვებოდნენ და მონაწილეებს წინასწარ შევსებული ანკეტების მიხედვით სახალისო, პირადი ხასიათის შეკითხვებს უსვამდნენ, რაც დაძაბულ შერკინებაში მცირე განტვირთვის საშუალებას იძლეოდა. მოაზროვნეებისათვის მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩნდა წამყვანის მიერ გამოცხადებული „ტროპიკული პაუზა“ მუსიკალურ ნომერთან ერთად. ამაღელვებელი იყო წამყვანის მიმართვა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ 2015 წელი „თამარიონისათვის“ საიუბილეოა. ინტელექტუალთა სახელით, მან მიულოცა ეს თარიღი დირექციას, პედაგოგებს, მოსწავლეებს. შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი, რის შემდეგაც დაიწყო თამაში. სათამაშო მაგიდა თერთმეტ სექტორად იყო დაყოფილი, მათ შორის – „შავი ყუთი“, „სუპერბლიცი“ და სექტორი „სტუმარი“. სტუმრის სტატუსით, მოაზროვნეების წინაშე წარდგა დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ქალბატონი **ქეთევან ხაბულიანი**. პირველი ნაწილი „ედელვაისის“ უპირატესობით წარიმართა. ანგარიში იყო 5:2. თამაში დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

სეზონის გამარჯვებული და გარდამავალი პრიზის მფლობელი გახდა ნინო რურუას გუნდი „ინკები“. სიმბოლური იყო, რომ გუნდ „ინკებს“ გამარჯვება მოუტანა „ბრძენმა ფრინველმა“, რომელიც „შავ ყუთში“ მჯდარი მოთმინებით ელოდა 2014 წლის გამარჯვებულ ინტელექტუალებთან მიფრენას. ქალბატონმა ქეთევან ხაბულიანმა, დარბაზის გამოკითხვის შედეგად, საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. 2014 წლის მაგისტრი გახდა XII კლასის მოსწავლე **საბა სანთაბულო.** დამსწრე საზოგადოებამ საპატიო დერეფანი მოაწყო და გამარჯვებული გუნდი დაწესებული პრიზის მისაღებად გაატარა.

შთამბეჭდავად წარმოადგინეს ფინალური შეხვედრის დასკვნითი ნაწილი VI-XII კლასელებმა. მუსიკალურ ნომრებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოსწავლეები: **დავით ანდღულაძე, თორნიკე ქიტუაშვილი, თამარ ზაკალაშვილი, ლანა ხაბურძანია, მარიამ აფრასიძე, მარიამ კარტაშვა**; სკოლა „თამარიონთან“ არსებული ვაჟთა ხალხურ სიმღერათა ანსამბლი, საესტრადო სიმღერების სტუდიის ვაჟთა და გოგონათა ანსამბლი **ნატო აბრამიშვილის** ხელმძღვანელობით.

ფინალური შეხვედრის დასკვნით ნაწილში, კათედრამ ყველა მონაწილე დააჯილდოვა, ორივე გუნდის კაპიტანი და 2014 წლის მაგისტრი. კათედრის წევრებმა მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორს, ქალბატონ **გულიკო კვიციანს**, ფინანსურ დირექტორს, ქალბატონ **ინგა ამირანაშვილს**, დირექტორის მოადგილეებს: ქალბატონ **ქეთევან ხაბულიანს** და **თათია გურგენიძეს**, ქალბატონ **ნატო აბრამიშვილს** (მუსიკალური გაფორმებისათვის) და ყველა იმ მონაწილეს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 2014 წლის სეზონის ინტელექტუალურ თამაშებზე.

ნინო მოლაშხია
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის თავმჯდომარე

სტუმრად პურკომბინატში

ადრე სწავლის მიზანი საგნის შინაარსის დასწავლა იყო. დღეს შინაარსი მოქმედებასთან, პროცესთან, ცხოვრებასთან კავშირში უნდა ვასწავლოთ. მოსწავლეებს უნდა დავანახოთ რეალური სამყარო და ვასწავლოთ თანამშრომლობა, თანაცხოვრება და სხვ.

ქართული ენის და ბუნების გაკვეთილებ-ზ,ი თემა, რომელიც უკავშირდება პურს, განსაკუთრებით აქტუალურია. უკეთ რომ შეგვესწავლა ეს საკითხი, მეორე კლასის მოსწავლეები წავიყვანე ხელვაჩაურის პურკომბინატში, სადაც შესანიშნავად გვიმასპინძლეს – დაგვათვალიერებინეს საცხობი, აგვიხსნეს პურის გამოცხობის თავისებურებები.

მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებზე ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე გვესაუბრებოდნენ კომბინატის თანამშრომლები: **ჯუმბერ შერვაშიძე, ემზარ შერვაშიძე, ჰაიდარ ბალაძე, ჯუმბერ თავდგირიძე, სულიკო ზაქარაძე** და სხვ.

შეკითხვაზე – *რატომ არის ხელვაჩაურის პური ყველაზე გემრიელი?* – კომბინატის დირექტორმა **იაშა შერვაშიძემ** გვიპასუხა:

– *წარმოების ყველა სტადიაზე დაცულია ტექნოლოგიური პროცესების ზუსტი მიმდინარეობა. გამოყენებულია ხარისხიანი ნედლეული და სხვ.*

მინდა დავამატო: ხელვაჩაურის პური მომხმარებლისთვის იმიტომ არის გემრიელი და გამორჩეული, რომ კომბინატის თავკაცი გამოცდილი, თავისი საქმის პროფესიონალი, ერთგული და შრომისმოყვარე ადამიანი, ბატონი იაშა შერვაშიძეა. სწორედ მისი დამსახურებაა, ასეთი გემრიელი და ხარისხიანი პური რომ იწარმოება აქ.

კომბინატის თანამშრომლებმა პატარებს ნამცხვრებითა და ახალგამომცხვარი პურით უმასპინძლეს. ბავშვებმა ნახეს ხორბლის ფქვილისგან როგორ მიიღება ცომი, ცომისგან კი – პური.

– *გვიყვარს ხელვაჩაურის პური!* – ამბობდნენ ბავშვები. რამდენიმემ სურვილი გამოთქვა, პურის მცხობელი მინდა გავხდეო.

სკოლაში რამდენი გაკვეთილიც არ უნდა ჩამეტარებინა ამ თემაზე, ისეთ შედეგს ვერ მივიღებდი, რასაც პურკომბინატში სტუმრობით მივაღწიე.

მადლობას ვუხდით კომბინატის თანამშრომლებს გულითადი მასპინძლობისთვის, თითოეულ მათგანს ვუსურვებთ წარმატებებს და ერთიან, დაცულ, მშვიდობიან და ძლიერ სამშობლოში ცხოვრებას!

დარიკო ნაკაშიძე
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თხილნარის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

ეფექტური პრეზენტაციის უნარის განვითარება სკოლაში

პრეზენტაციის მიზანია ადამიანების გარკვეულ წრეს გააცნო შენი საქმიანობის, კვლევის შედეგები. თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადამიანებს მუდმივად უწევთ თავიანთი პროექტების აუდიტორიის წინაშე წარდგენა. 21-ე საუკუნეში ერთგვარ აუცილებლობას წარმოადგენს პრეზენტაციის წარმართვის უნარის ფლობა, რადგან ეს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას იძლევა. ცნობილია, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რასაც პრეზენტატორი წარადგენს, არამედ ისიც, თუ როგორ წარადგენს თავის პროექტს.

ამ უნარის განვითარება სასკოლო ასაკიდან უნდა იწყებოდეს და ამაზე მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებისთვის სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებით. თუკი პრეზენტაციები სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება, მოზარდები ბევრად უფრო მომზადებულები შეხვდებიან ცხოვრების გამოწვევებს და სასწავლო პროცესი, თავისთავად, ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება. მოსწავლე ისწავლის დროის მენეჯმენტს, თვალით კონტაქტს და აღარ შეეშინდება აუდიტორიის. თუ მოზარდი ხშირად გააკეთებს პრეზენტაციას, ეს მისთვის ჩვეული გახდება და შფოთვის დონე შემცირდება. როდესაც პრეზენტაცია უცხო ენაზე კეთდება, ეს ამ უკანასკნელის ფლობის დონესაც უჩვენებს. კარგი პრეზენტაციის გაკეთება თვითშეფასებაზეც დადებითად მოქმედებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პრეზენტაციის დროს ხორციელდება ძველი და ახალი ინფორმაციის დაკავშირება. ფართო ინფორმაციის გაცნობა-დამუშავებისას, სხვადასხვა კულტურული ღირებულებების გაცნობიერება და საკუთარ კულტურასთან შედარება ხდება. ეს კი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი იდენტობის ფორმირებაში. ამ ასაკში მეტად აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობა, კოლაბორაცია და კოოპერაცია, რადგან ისინი ერთი მიზნის მისაღწევად მუშაობენ და სწავლობენ ქცევის, ემოციის და დროის მართვას.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, პრეზენტაციის გაკეთება ავითარებს გაურკვეველ სიტუაციებში და ცვლადი პრიორიტეტების გარემოში ეფექტურად მუშაობის უნარს, პრიორიტეტების მინიჭებას და დავალებების შესრულებას პირდაპირი ზედამხედველობის გარეშე.

რა არის საჭირო კარგი პრეზენტაციის გასაკეთებლად?

პრეზენტაცია ეფექტურად უნდა დაიწყოს და დასრულდეს. საპირისპირო შემთხვევაში, მსმენელები არ მოუსმენენ გამომსვლელს, ერთმანეთში ისაუბრებენ და შექმნილი ხმაური გამორიცხავს კარგი პრეზენტაციის შესაძლებლობას. როდესაც დასასრულიც ლოგიკური და კარგად გააზრებულია, მაშინ ეს ამთლიანებს პრეზენტაციას და შუაში არსებული სუსტი მხარეები დავიწყებას მიეცემა. შესაბამისად, მსმენელები კარგი განწყობით დატოვებენ აუდიტორიას.

რა კრიტერიუმებით ხორციელდება პრეზენტაციის შეფასება:

❖ რამდენად ეფექტური სათაური იყო შერჩეული;

❖ რამდენად საინტერესო იყო შესავალი ნაწილი;

❖ რამდენად საინტერესო და ორიგინალური იყო საპრეზენტაციო თემა;

❖ რამდენად შეძლო პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღების მოპოვება და შენარჩუნება პრეზენტაციის ბოლომდე;

❖ რამდენად მოზომილი და მიზნობრივი იყო პრეზენტატორის ჟესტიკულაცია და მანერები;

❖ რამდენად სძლია პრეზენტატორმა ნერვიულობის ზოგად ფონს;

❖ რამდენად იყო პრეზენტატორი მომზადებული ზეპირი მეტყველებისთვის, ანუ მიეჯაჭვა თუ არა იგი ბარათებს, ფურცლებს, საპრეზენტაციო მასალას;

❖ რამდენად ეფექტურად იყენებდა პრეზენტატორი თვალსაჩინოებებს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია ლოგიკურად და საინტერესოდ იყოს სტრუქტურირებული. თვალსაჩინოებები (Power Point, ვიდეოფილმები და ა.შ.) მიმზიდველს და უფრო გასაგებს ხდის პრეზენტაციას, გარდა ამისა, დამწყებ პრეზენტატორს ეხმარება კიდეც საკუთარი პერსონიდან აუდიტორიის ყურადღების გადატანაში. სხვა საკითხებიც მეტად მნიშვნელოვანია კარგი პრეზენტაციის გასაკეთებლად, კერძოდ:

❖ მნიშვნელოვანია დროის ჩარჩოს დაცვა (დაგეგმილი დროის გადაცილება უკმაყოფილებას იწვევს მსმენელში);

❖ ინფლექსიის გამოყენება (სასურველია ხმის ტემბრის დროდადრო შეცვლა ახალ საკითხზე გადასვლის, მსმენელის ყურადღების მიქცევის მიზნით);

❖ პრეზენტატორის პოზიტიური ენერგია გამოიხატება ხმის ტემბრით, ჟესტებით. ეს აუდიტორიის ჩართულობის და ინფორმაციის აღქმის ხარისხს ზრდის;

❖ კარგია მხედველობითი კონტაქტის გამოყენება;

❖ არავერბალური კომუნიკაცია თავსებადი უნდა იყოს ვერბალურთან.

უნდა გვახსოვდეს, რომ საჯაროდ გამოსვლის შიშს განიცდის ადამიანების, დაახლოებით, 75%. შესაძლებელია პრეზენტატორი კარგად ერკვეოდეს საკითხში, მაგრამ ის სათანადოდ ვერ წარადგინოს. ეს შიში დაძლევადია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ექნება გამოცდილება და ეცოდინება პრეზენტაციის წარდგენის წესები, ანუ ეს უნარი განვითარებული ექნება. პრეზენტაციის უნარის დახვეწას დიდი დრო და პრაქტიკა სჭირდება. საწყის ეტაპზე პრეზენტაცია საკლასო ოთახში უნდა ხორციელდებოდეს, მცირე და ნაცნობი აუდიტორიის წინაშე, შემდეგ სხვა კლასებში – ნაცნობი აუდიტორიის წინაშე და ბოლოს – საერთოდ უცნობი მსმენელის წინაშე.

16 დეკემბერს, „მაკმილანში“, 116-ე საჯარო სკოლის მე-6, მე-8 და მე-11 კლასების მოსწავლეებმა პრეზენტაცია გამართეს ინგლისურ ენაზე – „რვა ქვეყნის სიმბოლოები და კულტურული ტრადიციები“. ჩვენ გამოვკითხეთ მოსწავლეები რეფლექსიისთვის. აი, რა თქვეს მათ: მეექვსეკლასელმა **გვანცა ჯავახიშვილმა** აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა ამგვარ დიდ ღონისძიებაში მონაწილეობის, საგრძნობლად არ უნერვიულია და ძალზე კმაყოფილია, რომ მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში; მერვეკლასელებს – **გვანცა ორჯონიკიძეს** და **დავით კუჭუხიძეს**, პირიქით, უკვე ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა ანალოგიური მასშტაბის ღონისძიებაში (მასწავლებლის სახლში, 2012 წელს, რომელიც სამ გენიალურ მწერალს მიეძღვნა), მაგრამ მაინც ნერვიულობდნენ, თუმცა, დაძლიეს ეს, კმაყოფილნი არიან თავიანთი გამოსვლით და იმით, რომ სხვადასხვა კლასების მოსწავლეებს დაუახლოვდნენ; მეთერთმეტეკლასელებმა – **ელეონორა ქანთარიამ**, **ანა ქერდიკაშვილმა**, **ელენე ჯიოევამ**, **მარიამ ხუციშვილმა**, **მარიამ ანდღულაძემ** და სხვებმა აღნიშნეს, რომ ბევრი იმუშავეს და ბედნიერები არიან, ამდენმა შრომამ ფუჭად რომ არ ჩაიარა, პრეზენტაცია საინტერესო იყო და ბევრი საპატივცემულო სტუმარი დაესწრო. გარდა ამისა, ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ დიდი გამოცდილება შეიძინა და, რაც მთავარია, დაძლია საზოგადოების წინაშე გამოსვლის შიში. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ეს მათთვის მე-3 საჯარო პრეზენტაცია იყო და მრავალი წლის გამოცდილებამ და ძალისხმევამ გაამართლა.

პრეზენტაციის უნარი არ არის თანდაყოლილი უნარი, იგი დიდი შრომის და ძალისხმევის შედეგად მიიღწევა. ამ უნარის განვითარება სასკოლო ასაკიდან უნდა დაიწყოს პედაგოგის ხელშეწყობით.

ნანა ქუთათელაძე,
ირა ღვინიაშვილი
116-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგები

პროფესიონალთა კლასი

პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი

2014 წლის 26 დეკემბერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში, დილიდანვე საზეიმო განწყობა იყო. ამ დღეს სკოლა ღვაწლმოსილი პედაგოგის – **ლიანა ტორაძე-გუგუნაშვილის** – პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს აღნიშნავდა. დამსახურებულმა პედაგოგმა ღირსეულად გაიარა შემოქმედებითი გზა-სავალი და ჩვენი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს დღესაც ამშვენებს. მიუხედავად წლების სიმრავლისა, ენერგიულად და შემართებით ფუსფუსებს აღსაზრდელებთან და ცოდნის უკიდეგანო სამყაროს აზიარებს.

ლიანა ტორაძემ სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძო და წარჩინებით დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. 1964 წლიდან ახალსოფლის საშუალო სკოლის პედაგოგია. წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობის დასტურია ის სიგელები და მადლობის ბარათები, რომლითაც უხვად არის დაჯილდოებული ღვაწლმოსილი პედაგოგი. მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის წოდება, წარმატებით მონაწილეობს სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში, ერთ-ერთი თემა გაგზავნილ იქნა ყოფილ საკავშირო გამოფენაზე და წითელი დიპლომითა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. 2012 წელს მიღებული აქვს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მადლობის წერილი, ასევე რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრიდან – მრავალი სიგელი და მადლობის წერილი.

ქალბატონ ლიანას პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. კოლექტივმა და მოსწავლეებმა ძალიან ლამაზი საღამო მოუმზადეს. საზეიმოდ მორთულ დარბაზში საყვარელი პედაგოგი მისი სადამრიგებლო VII კლასის მოსწავლეებმა შემოიყვანეს... უამრავი თაიგული, მილოცვა და სურვილი... საღამოს უძღვებოდა სკოლის დირექტორი **კახაბერ კახაბრიშვილი**, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამაგდარ პედაგოგს: *„სასიამოვნოა თქვენთან მუშაობა, შესაშური ენერგიულობით და საქმისადმი მაღალი პროფესიონალური მიდგომით ნამდვილად სამაგალითო ხართ მთელი კოლექტივისთვის. მადლობას გიხდით როგორც თქვენი ყოფილი მოსწავლე, როგორც ყოფილი მშობელი და დღეს – კოლეგა. მადლობას გიხდით მთელი სოფლის სახელით, ყველა იმ თაობის სახელით, რომელიც მრავლად აღზარდეთ ჩვენს სოფელში ამ წლების განმავლობაში“.*

ახალსოფლის სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა **ლუიზა სუხიტაშვილმა** ქალბატონ ლიანას საიუბილეო თარიღი მიულოცა და აღნიშნა, რომ იგი არა მარტო შესანიშნავი პედაგოგია, არამედ კარგი მეგობარიცაა. გაიხსენა თანადგომა, რომელსაც გამოცდილი პედაგოგი მას მასწავლებლად მუშაობის პირველ წლებში უწევდა. მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ სკოლის პედაგოგები: **ნანული ჭელიძე**, **ნაზი მუმლაძე**, **ეკატერინე ცხოვრებაშვილი**, **მარინა კუნელაური**, **მაია ბასიშვილი**, **მარინე მახარაშვილი**, **ნელი მახარაშვილი**, დირექტორის მოადგილე **მაია კევლიშვილი**, სკოლის ბიბლიოთეკარი **ლალი ტორაძე** – ყველა ერთხმად აღნიშნავდა იმ დიდ ღვაწლსა და ამაგს, რომელიც ლიანა ტორაძემ ამ 50 წლის განმავლობაში გასწია. მშობლების სახელით, ქალბატონ ლიანას **მაია გოგოჩაშვილი** მიესალმა და მადლობა გადაუხადა მათ შვილებზე გაწეული ამაგისათვის.

სალომე გოგოჩაშვილი, XII კლასის მოსწავლე: *„ჩვენი კლასის სახელით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. მალე მეთორმეტეკლასელები სკოლას დავამთავრებთ და ცხოვრების ასპარეზზე გავალთ, გპირდებით, არ შეგარცხვენთ, მუდამ გვემახსოვრება თქვენი დარიგებები და დედა-შვილური სიყვარული“.*

ანი ჩიბურდანიძე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, XI კლასის მოსწავლე: *„ახალსოფლის სკოლის მოსწავლეები გილოცავთ პედაგოგიური საქმიანობის 50-წლიან იუბილეს. გვეამაყება, ჩვენი მოსწავლეობის პერიოდი თქვენს პედაგოგიურ მოღვაწეობას რომ დაემთხვა. ჩვენთვის საქმისადმი სიყვარულის, ერთგულების ცოცხალი მაგალითი ბრძანდებით და მომავალში, როდესაც სხვადასხვა სფეროში მოგვიწევს საქმიანობა, ნამდვილად ავიღებთ თქვენგან მაგალითს“.*

მეოთხეკლასელები (კლასის ხელმძღვანელი – **ლუიზა სუხიტაშვილი**) ქალბატონ ლიანას ლექსებით მიესალმნენ.

დასასრულ ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ითხოვა სიტყვა: *„ყოველთვის მსურდა, მასწავლებელი ვყოფილიყავი და ამ გადასახედიდან, დღევანდელი საღამოს შემხედვარე, ვრწმუნდები, რომ სწორი არჩევანი გამიკეთებია. მადლობა ყველას, ვინც დაინახა და დააფასა ჩემი შრომა“.*

სკოლის დირექციამ ლიანა ტორაძე-გუგუნაშვილი მადლობის სიგელით დააჯილდოვა, საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცა და ჯანმრთელობა და კვლავ წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობა უსურვა.

ახალსოფლის საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი

სასკოლო აქტივობა

პაოლო იაშვილის სალამო

გამორჩეული მადლი ტრიალებს საჩხერეში, რამდენი დიდი შვილი აღუზრდია მის „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ მიწა-წყალს... აკაკი, პაოლო, მუხრანი... ხშირად დავდივართ ამ დიდი პოეტების სახლ-მუზეუმებში, რათა გავეცნოთ პოეტების მშობლიურ კერას, შევისრუტოთ ის მადლი, რითაც ეს უბადლო პოეტები გამოირჩეოდნენ, შევიგრძნოთ მათი საოცარი სიტყვა, გავაცნობიეროთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ქართული სიტყვის ძალა.

ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნუნუ გოგოლიძემ** შეგვაყვარა „ცისფერყანწელთა“ ლექსები. ვესტუმრეთ პაოლო იაშვილის სახლს სოფელ არგვეთში, ჩავატარეთ პროექტ-გაკვეთილი, რომელმაც ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. რაც მეტი ვისწავლეთ და გავიგეთ, მით მეტად დავინტერესდით და გადავწყვიტეთ, ფართო საზოგადოებისათვის გაგვეცნო ჩვენი დამოკიდებულება პაოლო იაშვილის რაინდული ცხოვრებისა და ვაჟკაცური პოეზიის მიმართ. და აი, დეკემბრის ერთ მშვენიერ დღეს პაოლო იაშვილისა და, ზოგადად, „ცისფერყანწელთა“ პოეზიის თაყვანისმცემლებმა მოიყარეს თავი საჩხერის კულტურის სახლში.

საღამო გახსნა ნუნუ მასწავლებელმა, რომელმაც ჩვეული მჭევრმეტყველებით ისაუბრა სისხლიანი ეპოქის სისასტიკეზე, პაოლოს გმირულ საქმეებზე, მის ომახიან, გულშიჩამწვდომ პოეზიაზე. დარბაზი სუნთქვაშეკრული უსმენდა „ქართულ თქმაში გაშოლტილ“ ვაჟკაცურ სტრიქონებს. ყველას გადმოგვედო პოეზიის ის ცეცხლი, რომელსაც გულით ატარებდა თვითონ პაოლო იაშვილი. ამ ცეცხლით აენთნენ ახალგაზრდები: **ნინო იაშვილი, მიშიკო** და **მარი კაპანაძეები, ტატო ტოგონიძე, ლანა გორდეზიანი, ანეტა სირაძე, სანდრო გუდაძე, მარიამ კაპანაძე, ქეთი ხვდელიძე, დათო ლომსაძე** და სხვები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, საზოგადოების წარმომადგენლები.

„ასეთი საღამოები ხშირად უნდა ტარდებოდეს, ახალგაზრდები შეიყვარებენ პოეზიას, პოეტების შემოქმედებასთან ერთად ეპოქასაც გაეცნობიან, დაინტერესდებიან წიგნებით, მეტად გამოადგებიან სამშობლოსაც და საკუთარ თავსაც, დააფასებენ დიდი მამულიშვილების ღვაწლს, აიმაღლებენ მოტივაციას,“ – აღნიშნა საჩხერის გამგებელმა, ბატონმა **მალხაზ ბაზაძემ**.

„შენს ალაყაფთან მსურს დავალაგო ლექსები, როგორც სისხლის წვეთები,“ – წერდა პაოლო და მისი ლექსები იმ ქარიშხლიან დღეებში, როგოც სისხლის წვეთები ისე წვეთავდა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო პოეტის თანასოფლელის, ღრმად განსწავლული ინტელიგენტის, **გივი გოგოლიძის** მოგონება პაოლოს შესახებ. მას ახსოვდა ცოცხალი პაოლო, მოიგონა, როგორ ჩაღრმავებია სიკვდილის წინ ვაჟა-ფშაველას, როგორ აუჩემებია მისი ნათქვამი: *„გულმა არ მიქნა არა ქნა, რაც სათქმელია ძნელადა, დაე, დააკლდეს სახელსა, მე გირჩევნივარ მრჩევლადა“*. ბატონმა გივიმ უნიკალური ფოტომასალა გადასცა ნუნუ მასწავლებელს.

ეპოქაში, რომელშიც პაოლო ცხოვრობდა, ხშირი იყო დაპატიმრებები, გადასახლებები, დახვრეტები. პაოლომ დაასწრო ამ ყველაფერს და პირდაპირ მწერალთა კავშირის სასახლეში მოიკლა თავი. ეს არ იყო გაქცევა, ეს იყო პროტესტი იმ უსამართლო რეჟიმისა და დროის მიმართ, როცა ჩვენი ქვეყნის ცაზე კაენის სულმა გადაისრიალა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგვყვება ამ ღამაზ საღამოზე მიღებული შთაბეჭდილება. მართლაც ბედნიერებაა, დაიტკბო გული და სული (თანაც ამდენი რამ გაიგო!) ასეთი მშვენიერი საღამოებით.

აკაკის საიუბილეოდ



ბედნიერებაა დააბიჯებდე იმ მიწაზე, სადაც აკაკი დაიბადა და აღიზარდა. გაჯერებულია აკაკის პოეზიის მადლით მგოსნის საფიცარი საჩხერე. 2015 წელი პოეტის საიუბილეო წელია. მრავალი საინტერესო პროექტი დავგეგმეთ აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ **ნუნუ გოგოლიძესთან** ერთდ.

იმ დღეს საზეიმოდ იყო მორთული საჩხერის კულტურის ცენტრის დარბაზი. პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ შთამბეჭდავი ღონისძიება: „იქნება ჩვენთან მარად და მარად“. 19 დეკემბერს, ამ მშვენიერ საღამოს მოსწავლეებმა წარმოვადგინეთ: „აკაკი, როგოც თავისი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი“, „აკაკი და ისტორია“, „აკაკი და ქართველი ქალი“, „აკაკი, როგორც პუბლიცისტი“, „აკაკი მავნე ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლი“, „თავგანწირული მებრძოლი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის“.

საღამო გახსნა ნუნუ მასწავლებელმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა აკაკის ღვაწლზე, ერთხელ კიდევ შეახსენა მაყურებელს, თუ ვინ გვყავს ქართველებს აკაკის სახით. ამას ხომ განსაკუთრებულად გრძნობდნენ მისი თანამედროვენი. აკი აღნიშნავდნენ: „აკაკი პატარა საქართველოა“ /იაკობი/, „სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ“ /ილია/ და სხვ. ქართველი ერის გზა აკაკის გზაა, ილიას გზაა... სხვა გზა არ არსებობს.

ძალიან საინტერესოდ ისაუბრეს აკაკის შესახებ მოსწავლეებმა: **ანეტა სირაძემ, თამარ შუბითიძემ, მარიამ გიორგაძემ, ლუკა ლაშხმა, დათო ლომსაძემ, სანდრო გუდაძემ, სანდრო თოდაძემ, ნოდარ კუსიანმა, მიშიკო კაპანაძემ, ქეთი ხვდელიძემ**... საღამო გაახალისა 5 წლის **ზვიად სამყურაშვილის** მიერ დიდი გრძნობით წაკითხულმა ლექსმა.

ლიტერატურულ საღამოს ესწრებოდნენ: ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი **მეუფე დანიელი (დათუაშვილი), დედა ელენე**, მუნიციპალიტეტის გამგებელი **მალხაზ ბაზაძე**, გამგებლის მოადგილე **ოთარ ომიაძე** და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი **ლევან ჩხეიძე**, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი **კახა სამყურაშვილი**, ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

განსაკუთრებით გაგვახარა მეუფის შეფასებამ: *„ბედნიერებაა, რომ ახალგაზრდები ასე ღრმად იცნობენ აკაკის შემოქმედებას, სჯერათ იმისა, რასაც ამბობენ. ჩანს, გამორჩეულად უყვართ სულმნათი მგოსანი, ამიტომაც მოახერხეს და გადასდეს ეს მძაფრი სიყვარული მაყურებლებს. მადლობა ამ შთამბეჭდავი საღამოს ორგანიზატორს, თქვენს მასწავლებელს, ქალბატონ ნუნუ გოგოლიძეს, ასე რომ გაზიარათ აკაკის ჩანგნაკურთხ პოეზიას და მდიდარ შემოქმედებას. აჩვენეთ ეს საღამო თქვენს თანატოლთ, ყველას და მრავალი ახალგაზრდა ქართული სიტყვის მადლით აღივსება, დაინტერესდება, უკეთ გაიცნობს ქართველ კლასიკოსთა ღვთიურ მემკვიდრეობას.“*

2015 წლის განმავლობაში ბევრ საინტერესო პროექტზე ვიმუშავებთ, რათა დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გავაძლიეროთ.

ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკაკის იუბილეზე სოფელ სხვიტორში ბრძანა: *„აკაკი არის უფლის წინაშე ანთებული სანთელი, რომელიც არასდროს დაიშრიტება“*. ჭეშმარიტად, ეს სანთელი ჩვენს გულებში მძლავრად უნდა აინთოს ჩვენდა სასიკეთოდ და ქვეყნის საიმედოდ.

ლალი კვიჟინაძე
საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

ინფორმაცია

შექმენი საახალწლო ნაძვის ხე

თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტმა და თსუ ეკო კლუბმა გამოაცხადა კონკურსი – „შექმენი საახალწლო ნაძვის ხე“, რომელშიც მონაწილეობის მიღება საქართველოს ყველა სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო. კონკურსის მიზანი იყო (არის და იქნება) შევაჩეროთ ტყეების განადგურება, ახალგაზრდა ნაძვის ხეების უმოწყალო ჭრა, საახალწლოდ კი ხელოვნური ნაძვის ხეები საკუთარი ხელით შევქმნათ.

პროექტი სამ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი 1 დეკემბერს დაიწყო და 15 დეკემბერს დასრულდა. ამ პერიოდის განმავლობაში მოსწავლეებს უნდა დაემზადებინათ ნაძვის ხეები სხვადასხვა სახის ნარჩენებისაგან (მაკულატურა, პოლიეთილენი, მეტალი, ბიჟუტერია, ქსოვილი და სხვ. ისე, რომ არ გამოიყენონ ნაძვის ხე ან მისი ტოტები). ასე შექმნილი ნაძვის ხეების ამსახველი ფოტოსურათები გაიგზავნა ელმისამართზე.

ლახამულის საჯარო სკოლის ორივე საფეხურის მოსწავლეები და მასწავლებლები ჩაერთნენ კონკურსში. განსაკუთრებით იაქტიურეს: **მარია დავითიანმა** (VIII კლ.), **დიანა კობახიძემ** (IVკლ.) და მეშვიდეკლასელებმა, დამრიგებლის – **ლუარა სარიშვილის** ხელმძღვანელობით.

მეორე ეტაპზე, დასავლეთ საქართველოდან შერჩეული ნაშრომები, 18 დეკემბერს, ქუთაისში გამოიფინა და ჩვენი ნამუშევრების კომპოზიციაც იქ წარვადგინეთ. მესტიიდან კონკურსში ყარ-სგურიშის საჯარო სკოლის ეკოკლუბი მონაწილეობდა (ხელმძღვანელი – **თეა ტალახაძე**). მათი ნაძვის ხე საკმაოდ ლამაზი და შთამბეჭდავი იყო. წარმოდგენილი 38 სკოლიდან ფინალში 25 გადავიდა, მათ შორის სვანეთის ორივე წარმომადგენელი.

ფინალი 25 დეკემბერს, თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა. მონაწილეობდა საქართველოს 53 სკოლა. ეს ნამდვილად ზეიმი იყო და არა კონკურსი, აქ მოსული ყველა გამარჯვებული იყო, რადგან ერთმანეთზე უკეთესი ნამუშევრები წარმოადგინეს.

სამწუხაროდ, კონკურსს ყარ-სგურიშის სკოლა დიდთოვლობის გამო გამოეთიშა და დედაქალაქში ვერ ჩამოვიდნენ ეკოკლუბის წევრები.

მადლობას ვუხდი ამ კონკურსის ინიციატორებს, მადლობას ვუხდი ჩემს სკოლას, დირექტორს – **ნაზი საბანიძეს** არა მარტო ამ, ყველა დანარჩენ კონკურსებში თუ ღონისძიებებში თანადგომისთვის, მადლობა **ნინელი ეჯიბაძეს** და განსაკუთრებული მადლობა **ნოდარ საბანიძეს** (დირექტორის მეუღლეს), რომელიც დამეხმარა და ყოველთვის მეხმარება ჩემი იდეების განხორციელებაში და საერთოდ, იმ თანადგომისთვის, რასაც გვიწევს!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საბავშვო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში:

1. მოწონებების (facebook) კონკურსში გამარჯვებული – **თბილისის 76-ე საჯარო სკოლა.**
2. გამოფენაზე დამსწრე საზოგადოების რჩეული – **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა;**
3. სულ ნარჩენებისგან შექმნილი – **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფის საჯარო სკოლა;**
4. ეთნოგრაფიული ნაძვის ხე – **მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამულას საჯარო სკოლა;**
5. ზღაპრული სამყარო – **თბილისის 99-ე საჯარო სკოლა;**
6. მინი-გენიალურობა – **სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაქირის საჯარო სკოლა;**
7. ყველაზე კრეატიული და არომატული – **ხაშურის მე-3 საჯარო სკოლა;**
8. კომისიის რჩეული – **ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლა;**
9. უნივერისტეტის რჩეული – **გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა;**
10. ინოვაციური (კონკურს გარეშე) – **თბილისის 112-ე საჯარო სკოლა.**

მინდა ყველას გასაგონად გავიმეორო: ლახამულის სკოლა იყო პიონერი სვანეთის სკოლებს შორის, ვინც საახალწლო ზეიმზე თავისი შექმნილი ნაძვის ხე დადგა და ამით ერთი ნაძვი მაინც გადაარჩინა. დარწმუნებული ვარ, სხვა სკოლებიც გამოგვეხმაურებიან და მოგვბაძავენ.

საახალწლო ზეიმი **მარია დავითიანის** მიერ შექმნილი ნაძვის ხით აღვნიშნეთ.... ეს არა მარტო საახალწლო ზეიმი, პირველი სემესტრის შემაჯამებელი ღონისძიებაც გახლდათ. გარდა ამისა, გამოცხადებული იყო მხატვრული კითხვის კონკურსი, რომლის პრიზიც სკოლის დირექტორმა **ნაზი საბანიძემ** დააწესა.

სხვადასხვა აქტივობებში გამარჯვებული თუ მონაწილე აქტიური მოსწავლე-მასწავლებლები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

წლევანდელი ზეიმი სხვა წლებისგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვალოდია ჭკადუამ** საახალწლო საჩუქრებისთვის სკოლას ფულადი თანხა აჩუქა. ამით მან კიდევ ერთხელ გამოხატა კეთილი ნება სოფლის მომავლის მიმართ.

ღონისძიება საგანგებოდ ამ დღისთვის შექმნილი კლიპით დასრულდა, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ – http://youtu.be/bRxT4MII-0M

ვულოცავ ყველა გამარჯვებულ სკოლას, ვულოცავ ყველა მონაწილეს შობა-ახალ წელს! მშვიდობა და ახალ-ახალი წარმატებები დაგვბედებოდეს!

ერთად დავიცვათ და გადავარჩინოთ ბუნება!

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლა

მოგზაურობა ქიმიის სამყაროში

სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ნათელა კიკაბიძე**), ქიმია-ბიოლოგიის სერტიფიცირებული მასწავლებლის **ირმა ჭანტურიას** მიერ, VII-IX კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით, განხორციელდა პროექტი „მოგზაურობა ქიმიის სამყაროში“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილები VII-VIII კლასებში და ღონისძიება „ელემენტთა მეჯლისი“, რომლის მომზადებაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მასწავლებლები და მშობლები.

სცენა, დარბაზი და ინტერიერი გაფორმებული იყო მოსწავლეებისა და ხელოვნების მასწავლებლის **სოფიო ჯიბლაძის** მიერ. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა მუსიკის მასწავლებელმა **გულისა კიზირიამ**.

მოსწავლეებმა სცენაზე ცოცხალი ორგანიზმებისათვის აუცილებელი ცამეტი ქიმიური ელემენტი გააცოცხლეს. სანახაობრივად მეჯლისი უმშვენიერესი იყო. ვაჟების კოსტიუმები და გოგონების კაბები სადღესასწაულო ელფერს ჰფენდა ყველაფერს. სამეჯლისო ცეკვებმა დამსწრეთა აპლოდისმენტები დაიმსახურა.

სკოლის დირექტორმა, ნათელა კიკაბიძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს და პროექტში ჩართულ მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს. ყველა მონაწილეს სიგელები გადასცა და მომავალი წარმატებები უსურვა.

იზაბელა გაბუნია
მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების კათედრის თავმჯდომარე, მათემატიკის სერტიფიცირებული მასწავლებელი

სასკოლო თვითმმართველი ორგანოების პირველი კონფერენცია ყვარელში

სკოლების დეცენტრალიზაციისა და საჯარო სკოლებში თვითმმართველი ორგანოების გაძლიერება ზოგადი განათლების განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიესალმება და მხარს უჭერს ამ მიმართულებით სკოლების მიერ განხორციელებულ ინიციატივებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** მოსწავლეთა თვითმმართველობის თემაზე საქართველოში პირველი კონფერენციის (ჩატარდა ყვარელში, 2014 წლის 25 დეკემბერს) შედეგად გამოვლენილ საუკეთესო პრეზენტაციებს გაეცნო.

შეხვედრა ილიას სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა და მისი მიზანი იყო საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენა და გაზიარება. ღონისძიებას ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეები და დირექტორები ესწრებოდნენ. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობების პირველი კონფერენციის „მოსწავლეთა თვითმმარველობის როლი სკოლის განვითრებაში“ წარმატებულმა მონაწილეებმა – **მარიამ ხეჩიაშვილმა** (ენისელის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), **სოფიო სტეფანიშვილმა** და **ელენე დარბაიძემ** (ახალსოფლის №1 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი) – პრეზენტაციები წარმოადგინეს და შეკითხვებს უპასუხეს.

საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილ იქნა პედაგოგიური საბჭოების წარმატებული საქმიანობის მაგალითები, მიღწევები და წარმატებები.

შეხვედრის ბოლოს ლია გიგაურმა დამსწრე საზოგადოებას განათლების სისტემაში მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეები გააცნო და შეკითხვებს უპასუხა.

წიგნის თვრო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ჭიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თვრო

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე“

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია
განახლებული
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

ფიზიკა
განახლებული
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

გეოგრაფია
განახლებული
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ბიოლოგია
აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი
სიახლე
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ აGE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK